საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოქდ-ვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარისიბებზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 19 იანვარი. 2016 წ. №10 (7902), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში ეთმობა ნაკითხავ, სხვანან ვერ

ისევ თქვენ, „ბურლაკებო“, დიდი მეფის დამბრუნებელი სხვა არ ჩანს!

ქ. თბილისის მერს ბატონ დავით ნარმანიას

ბატონო დავით,

თქვენს საარჩევნო პროგრამაში თბილისელებს და საქართველოს შეჰპირდით სააკაშვილი-უგულავას მიერ „ტახტიდან ჩამოგდებული“ და დილმის ტრასაზე „იძულებით გადაადგილებული“ დიდი მეფის დავით აღმაშენებლის ძეგლის რეაბილიტაციას და ისიც დათქვით, რომ მალევე დააბრუნებდით თავის ძველ „სატახტოში“ „ივერიის“ მოედანზე. ეტყობა, თქვენ ამის ძალა არ შეგწევთ. ჩვენი „დაქირავებული“ ვოლგელი ბურლაკები მზად არიან დახმარებისთვის. ნუ ეტყვით უარს.

ეს ძალიან კარგია, რომ დიდ მეფე აღმაშენებელს ძველ „ტახტზე“ დამბრუნებლად ილია რეპინის „ბურლაკები“ გამოუჩნდნენ!

ახლა ჯერი თქვენზეა!

თბილისელები

ნაცებს საერთო დანაშაული აერთიანებთ, ქოცებს - საკუთარი ძალების შეუფასებლობა 6

ვალერი ხაბურძანია:

აქ იქნება საშინელებები. არ გამოვრიცხავ შეიარაღებულ შეტაკებებს

4

„კუჭისტი“ ინვესტორები დედაქალაქს გვიმასინჯებენ

თბილისში მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა შეიზღუდება 5

სააკაშვილი პოროშენკოს გარდა ყველას ამათრახებს!

8

ფასი

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.425; ევრო - 2.645;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.478;
100 რუბლი - 3.136; თურქული ლირა - 0.796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.524;
1000 სომხური დრამი - 5.015

ამინდი 19 იანვრისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე 0,	დღე +14
მთიანი რაიონები -	ღამე -1,	დღე +7
დასავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე +7,	დღე +13
მთიანი რაიონები -	ღამე 0,	დღე +7
თბილისი:	ღამე +2,	დღე +11

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

კორტნი მწარედ იკორტნება

საძართველოს ზეიძლება დაემუძროს ის, რაც რუსეთმა ყირიმში გააკეთა

„ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აშშ-ის ყოფილ ელჩმა საქართველოში უილიამ კორტნიმ განაცხადა, რომ საქართველოს უსაფრთხოების ასამაღლებლად ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაძლიერება მთავარი ამოცანა უნდა იყოს.

„ვგულისხმობ ტერიტორიის მოულოდნელ დასაკუთრებასა და ანექსიას, აგრეთვე აღმოსავლეთ უკრაინაში შეჭრას. ჩნდება კითხვები: გააგრძელებს თუ არა რუსეთი აქტიურობას და შეუქმნის თუ არა სხვა მეზობლებს სამხედრო საფრთხეს. საქართველო ერთ-ერთი ამ მეზობელთაგანია. საქართველოს უსაფრთხოების ასამაღლებლად, ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაძლიერება მთავარი ამოცანა უნდა იყოს. დასავლეთს შეუძლია, მიაწოდოს საქართველოს თავდაცვითი შეიარაღება, მაგრამ მას ეს ჯერ არ გაუკეთებია და არც უკრაინისათვის მიუწოდებია იარაღი. უკრაინაც და საქართველოც იმსახურებენ ამგვარ დახმარებას. დასავლეთის დახმარებას, შეუძლია, ამ ქვეყნებს თავიდან ააცილოს აგრესია, რადგან აგრესორს მეზობლებზე თავდასხმის შემთხვევაში გაცილებით დიდი ფასის გადახდა მოუწევს“, — განაცხადა კორტნიმ.

საძართველოსათვის ახლო მომავალში ნატოს წევრობა შეუძლებლად მოჩანს

„საძართველოსთვის ახლო მომავალში ნატოს წევრობა შეუძლებლად მოჩანს რამდენიმე მიზეზის გამო. საქართველო ჯერ კიდევ შედარებით ღარიბია. ერთ სულ მოსახლეზე მისი შემოსავალი ბულგარეთის შემოსავალზე ორჯერ ნაკლებია. ბულგარეთი კი ნატოს უღარიბესი წევრია. ეკონომიკური რეფორმები და ეკონომიკური ზრდა გადამწყვეტია საქართველოს მისწრაფებისათვის, რათა ნატოს წევრი გახდეს. მეორე მიზეზი ისაა, რომ ნატოს ქვეყნებს ალიანსში უკვე მიღებული ახალი წევრების ინტეგრაცია ჯერ არ დაუსრულებიათ. ნატო ფოკუსირებულია ბალტიის ქვეყნების დაცვაზე შესაძლო საფრთხეებისაგან. ვფიქრობ, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ნატოს ყურადღება მისი წევრების უსაფრთხოებაზე იქნება გადატანილი“, — განაცხადა კორტნიმ.

დასავლეთში არსებობს აღქმა, რომ ყოფილი მთავრობის წევრების მიმართ გამოიყენება შერჩევითი სამართალი

„მნიშვნელოვანია, რომ ოქტომბრის არჩევნები შეფასდეს, როგორც სრულიად თავისუფალი და სამართლიანი. ეუთომ არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად უნდა აღიაროს. ამგვარად, კანონის უზენაესობა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც მთავრობის თავმჯდომარემ უნდა გადაჭრას იმის პარალელურად, რომ საშინაო და საგარეო ინვესტიციების მოზიდვაზე იმუშავებს“, — განაცხადა კორტნიმ და აღნიშნა, რომ ახალი პრემიერ-მინისტრი ორი გამოწვევის წინაშე დგას — განამტკიცოს კანონის უზენაესობა და მოიზიდოს მეტი ინვესტიცია, რათა ეკონომიკა გაიზარდოს.

„კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით, დასავლეთში არსებობს აღქმა, რომ ყოფილი მთავრობის წევრების მიმართ გამოიყენება შერჩევითი სამართალი და პოლიტიკური ანგარიშსწორება. ეს გარემოება დასავლეთის თვალში ზიანს აყენებს ქართულ დემოკრატიას. საქართველომ ბევრი სხვა მიმართულებით შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია. მიგვაჩნია, რომ კანონის უზენაესობის გაძლიერება საქართველოს მთავრობას შინ მეტ ლეგიტიმურობას შესძენს, საზღვარგარეთ კი აამაღლებს ქვეყნის რეპუტაციას. ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია, დაინახონ, რომ შეუძლიათ კანონის უზენაესობის იმედი ჰქონდეთ, როდესაც საქართველოში ფულს ჩადებენ. თუ ნახეს, რომ მართლმსაჯულება შერჩევითი ხასიათისაა და პოლიტიკურადაა მოტივირებული, ინვესტორების ნდობა შემცირდება. მათ უნდა იცოდნენ, რომ პრობლემების შემთხვევაში, კანონის უზენაესობა დაიცავთ“, — განაცხადა კორტნიმ.

პრემიერი ბიზნესმენებს ეუბნება

საძართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბიზნესმენებს მთავრობის მუშაობის მიმართულებები გააცნო.

მთავრობის ადმინისტრაციაში ბიზნესსექტორთან საუბრისას პრემიერმა განაცხადა, რომ მთავრობამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის 4 უმთავრესი მიმართულება გამოყო.

,,ამ კუთხით გასატარებელი რეფორმები შეგვიძლია რამდენიმე ძირითადი ქვეპუნქტით შემოვფარგლოთ. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო რეფორმა, რომელსაც თან ახლავს როგორც საკანონმდებლო, ასევე ადმინისტრაციული ნაწილი. მხედველობაში მაქვს მხოლოდ და მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგვრა, მოგების გადასახადისგან გათავისუფლება. ეს არის საგადასახდო რეფორმის ესტონური მოდელი. ასევე ეს არის მაქსიმალურად რეგლამენტირება საგადასახადო ადმინისტრაციული ორგანოების და მათი მუშაობის იმისთვის, რომ დროში შემოფარგული იყოს თითოეული შემოწმება. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია იმისთვის, რომ მაქსიმალურად ავირიდოთ პატიმრობები, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ დანაშაულს. გარდა ამისა, აუცილებელია ფინანსური პოლიციის მოქმედების მაქსიმალური რეგლამენტაცია. მთლიანობაში ამასთან დაკავშირებით გვინდა, რომ თქვენი მოსაზრებები მოვისმინოთ. ეკონომიკური გუნდი მუშაობს დამწყები ბიზნესის განვითარების ხელშეწყობასა და სტარტაპის დაფინანსების მექანიზმის შექმნაზეც“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, არსებობს რეფორმის მეორე ბლოკიც, რომელიც გულისხმობს მთავრობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ბიზნესის წარმომადგენელთა მაქსიმალურ ჩართულობას.

რაც შეეხება რეფორმის მესამე ბლოკს, რომელიც აღნიშნული პროცესის ქვაკუთხედი უნდა იყოს, კვირიკაშვილის განმარტებით, გულისხმობს რეგიონების განვითარებას. მისი შეფასებით, რეგიონებში ადამიანებს არანაირი შეგრძნება არ აქვთ, რომ რაიმე კუთხით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობენ.

პრემიერის ინფორმაციით, რეფორმის მეოთხე ნაწილი საგანმანათლებლო სისტემას უკავშირდება.

„სამ უმთავრეს მიმართულებას გამოვყოფ. უპირველეს ყოვლისა ეს არის პროფესიული განათლების განვითარება და პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლება ქვეყანაში. მეორე - ზოგადი განათლების რეფორმაა, რათა მაქსიმალურად ავწიოთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განათლების ხარისხი, ხოლო მესამე ეს გახლავთ უმაღლესი განათლების ძალიან მნიშვნელოვანი ფუნდამენტური რეფორმა“ , — განაცხადა პრემიერმა და დასძინა, რომ განათლების სისტემამ პოტენციური უმუშევრები არ უნდა გაამრავლოს.

საქმიანი საუბარი ლიტვის ელჩთან

საძართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს გიედრიუს პუოჯუნასს შეხვდა.

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები, ორი ქვეყნის თანამშრომლობის სფეროები, ვაჭრობისა და ტურიზმის მიმართულებით არსებული პოზიტიური დინამიკა საუბრის ძირითადი თემები იყო.

ლიტვა საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ეფექტურ განხორციელებაში მხარდაჭერას სთავაზობს.

პრემიერმა შეხვედრისას ხაზგასმით აღნიშნა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის კონსოლიდაციის მნიშვნელობა, ვიზის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

მხარეებმა ისაუბრეს საკონტეინერო გადაზიდვების განვითარებისა და პროექტ „ვიკინგის“ შესახებ, რომელიც, ჩრდილოეთის პორტებს, საქართველოს გავლით, შუა აზიის ქვეყნებთან დააკავშირებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ლიტვის ელჩს ასევე მიაწოდა ინფორმაცია უახლოეს მომავალში დაგეგმილი რეფორმების შესახებ.

გიედრიუს პუოჯუნასმა, ლიტვის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის სახელით, გიორგი კვირიკაშვილს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებული საქმიანობა უსურვა.

◎ საუფლო დღესასწაული

ყყლის კურთხევა — ნათლისღება

19 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უდიდეს საუფლო დღესასწაულს — ნათლისღებას დღესასწაულობს, 20 იანვარს კი ზეიმობს კრებას წმიდისა დიდებულისა ნათლისმცემლისა იოანესი.

...სახარების ქადაგება არ დაუწყია ღმერთკაცს გარკვეულ ასაკამდე. იესო ქრისტე ნაზარეთიდან წავიდა იორდანეს ნაპირებისკენ, სადაც იოანე წინამორბედი თავის მსახურებას აღასრულებდა და ყველას წყლით ნათლობისაკენ — სინანულისა და განწმენდისაკენ მოუწოდებდა.

იესო ქრისტემ კაცობრიობის ცოდვები იტვირთა და „ხატი მონისა“ მიიღო.

აღსანიშნავია, რომ „ხატი მონისა“ იესო ქრისტემ იოანე ნათლისმცემლის ხელით მიიღო და იორდანეში მოინათლა.

იესო ქრისტემ იორდანეში მონათვლით ყველას ასწავლა ნათლისღების აუცილებლობა. ნათლისღებისას კი ცა გაიხსნა და სიწმინდის, მოკრძალებისა და ერთგულების სიმბოლო — მტრედის სახით — სულიწმინდის მადლი (სულიწმინდა) მათზე გადმოვიდა, და მამის ხმაც გაისმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავი“.

...იესო ქრისტე მონათვლის შემდეგ განმარტოვდა იორდანეს უდაბნოში, რათა ლოცვითა და მარხვით წინასაუკუნეთა მიერ მისთვის განსაზღვრულ საქმისათვის — **კაცობრიობის ხსნისთვის** — მომზადებულიყო.

საგულისხმოა, რომ იესო ქრისტემ ამ ველურ ბუნებაში (გარემოში) გაატარა ორმოცი დღე, სადაც დაამარცხა მაცდური ეშმაკი და სულიერად ძლიერი, მოწაფეების და ხალხის თანხლებით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელთან დაბრუნდა.

იესო ქრისტემ თავისი სასწაულების აღსრულება თავისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის — დედის შუამდგომლობით დაიწყო! პირველი სასწაული კანას გალილეაში საქორწინო წვეულებაზე ღვთისმშობელთან ერთად მიწვეულმა იესომ ჩაიდინა — სვიმონ კანანელის ქორწილში ღვინო შემოაკლდათ, მან წყალი ღვინოდ აქცია!

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა დედაეკლესიამ წყალკურთხევა დააწესა ნათლისღების მწუხრზე (დიდი აიაზმას წესით წყლის კურთხევა). ამ დროს მღვდლის ლოცვით უბრალო წყალი განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: „ნაკურთხ წყალს ეკლესია იყენებს მირონის მოხარშვისას (კურთხევისას), ტრაპეზის, ოდიკების კურთხევისას, და აღდგომის დღეს არტოსის — სააღდგომო დიდი პურის კურთხევისას“.

ჩვენი გაზეთის რედაქციის თანამშრომლები საქართველოში და საზღვარგარეთ მცხოვრებ ყველა ქართველს მხურვალედ გილოცავთ დიდ საუფლო დღესასწაულს!

გიული ლიპარტია

„გაზპრომთან“ მოლაპარაკება „წინდახედული ნაბიჯია“

აშშ-ის ელჩი საქართველოში, იან კელი „გაზპრომთან“ მიმდინარე მოლაპარაკებას „წინდახედულ ნაბიჯად“ აფასებს. ელჩმა განაცხადა, რომ მთავრობა საკმაოდ ღიაა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით და მისმა განმარტებამ დააკმაყოფილა.

„ყოველთვის მნიშვნელოვანია, რომ ენერგოპოლიტიკის კუთხით მთავრობა გამჭვირვალე იყოს. იგი საკმაოდ ღიაა ჩვენთან, ჩვენ კი გამოვხატეთ საკუთარი პოზიცია, რომ არ უნდა გახდნენ დამოკიდებულნი ენერგიის ერთ წყაროზე და შეინარჩუნონ დივერსიფიკაცია. ჩვენ მათმა განმარტებებმა დაგვაკმაყოფილა. საქართველოს აქვს მოკლევადიანი ენერგეტიკული მარაგი და ვფიქრობ, წინდახედული ნაბიჯია პოტენციურ ენერგომომარაგებელთან საუბარი. რა თქმა უნდა, შეშფოთებულები ვართ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით, თუმცა, საქართველოს მთავრობას, ვფიქრობ, ესმის ეს გამოწვევები“, — აღნიშნა იან კელიმ.

საერთო უნდობლობა პოლიტიკური პარტიების მიმართ

„ოცნებას“ დღემდე არა აქვს ახსნილი, რა არის ეს ქართული ოცნება

„ოცნება“ აცნობიერებს, რომ პრობლემა მარტო პერსონალურ შემადგენლობაში არ არის. პრობლემაა როგორც კვალიფიკაციაში, ასევე კომპეტენციაში და შესაბამისი უნარების არქონაში“, — აცხადებს პოლიტიკური კონსულტანტი ვალერიან გორგილაძე.

რატომ ხდება აღმასრულებელი ხელისუფლება დასაქმების წყარო და რაზეა გათვლილი ივანიშვილის ეს ნაბიჯი? — ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge ვალერიან გორგილაძეს ესაუბრა.

— ცნობილი ხდება, რომ „ოცნების“ საპარლამენტო სია ძირეულად იცვლება, არ იქნებიან წარმოდგენილი როგორც სპორტსმენები, ასევე მსახიობები. ფაქტია ისიც, რომ „ქართული ოცნების“ ეს გუნდი ვერ გახდა შედეგზე ორიენტირებული. როგორ წარმოგიდგენიათ „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სია?

— მსახიობების და სპორტსმენების ეს არტიკულაცია, რომელიც დღეს არის წარმოდგენილი პარლამენტში, იმ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომ თვითონ კოალიციის რიგებში არის უკმაყოფილება. კონკრეტულად - პარლამენტში ფრაქციათა უმრავლესობა არასათანადო კვალიფიკაციას ავლენს. სპორტსმენები და მსახიობები უფრო აქტიურად ჩანან, მეტიც, გამოირჩევიან გარკვეული ეგზოტიკური გამონათქვამებით და როგორც ჩანს, ეს იპყრობს ყურადღებას.

— როგორ ფიქრობთ, სხვა მასშტაბების პრობლემასთან ხომ არ გვაქვს საქმე, ვიდრე ეს კონკრეტული გამონათქვამებია?

— რა თქმა უნდა, პრობლემა ბევრად უფრო სხვა მასშტაბების არის. აქ საუბარია იმაზე, რომ სპორტსმენები და მსახიობები მრავლად არიან წარმოდგენილნი, მაგრამ რომ გადავხედოთ სხვა ქვეყნის პარლამენტებს, მათ შორის დასავლეთის და აშშ-ის, ვნახავთ, რომ სპორტსმენებიც არიან და მსახიობებიც. ზოგი გუბერნატორია და ზოგი პრეზიდენტიც და ბევრად უფრო წარმატებულები არიან, ვიდრე ისინი, ვინც მთელი ცხოვრება პოლიტიკით არიან დაკავებულნი.

— გუნდის ამ შემადგენლობას აბსოლუტურად სხვა მისია ჰქონდა 2012 წელს, დღეს სხვა ვითარებაა. შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს ეს გუნდი ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, რაც არსებობს ქვეყნის წინაშე?

— ეს უნდა განვიხილოთ ერთიან კონტექსტში. მაგალითად საუბარს დავიწყებდი კობახიძე-ბესელიას სკანდალით, ასევე ირაკლი ღარიბაშვილის წასვლით აქტიური პოლიტიკური პროცესებიდან და ბიძინა ივანიშვილის განცხადებებით, როცა ის ხშირად საუბრობდა პრობლემების არსებობაზე, რომ უნდა მოხდეს სიის განახლება; მოლაპარაკებები იგივე ინტელექტუალთა კლუბთან, ლამის მთელი ინელექტუალთა კლუბი წამოიყვანონ, ეს ძალიან მიამიტური და სასაცილო მცდელობებია. პრობლემის გადაჭრა იმით, რომ შენ ინტელექტუალებს მოიზიდავ სხვადასხვა აკადემიური წრეებიდან და ისინი გახდებიან წარამატებული პოლიტიკოსები, ეს ძალიან მიამიტური მცდელობაა. მსგავსი მცდელობები ყოველთვის მარცხით მთავრდება და ამას ისტორიაც ადასტურებს.

რა თქმა უნდა, „ოცნება“ აცნობიერებს, რომ პრობლემა მარტო პერსონალურ შემადგელობაში არ არის. პრობლემაა, როგორც კვალიფიკაციაში, ასევე კომპეტენციაში, პრობლემაა შესაბამისი უნარების არქონა. ირაკლი კობახიძის კრიტიკულ შენიშვნებზე კონკრეტული დეპუტატების მკაცრი რეაქცია და გაღიზიანება, ეს არის კერძო შემთხვევები, რომელსაც ყურადღება არც უნდა მივაქციოთ. ფაქტია, რომ „ოცნების“ საპარლამენტო სია 80%-ით იქნება განახლებული და ეს არის ობიექტური პროცესი.

— შესაძლოა, „ოცნების“ საპარლამენტო სია განახლდეს, მაგრამ არის მეორე საკითხი — დეპუტატები, რომლებიც დატოვებენ საკანონმდებლო ორგანოს, გადაინაცვლებენ აღმასრულებელ ორგანოში და ასეთი დაპირება მათ ივანიშვილისგან მიიღეს. ჩნდება კითხვა, თუკი ეს კონტინგენტი ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რა მოთხოვნებასაც უყენებს საკანონმდებლო ორგანო, რა მიზნით სთავაზობენ მათ ალტერნატივას აღმასრულებელ ხელისუფლებაში?

— სიმართლე გითხრათ, ეს საკითხი ძალიან მადარდებს. აღმასრულებელ ხელისუფლებას ნაკლებად კომპეტენტური კვალიფიციური კადრი სჭირდება? მგონია, რომ პირიქით — გარკვეული მენეჯერული და სხვა უნარ-თვისებებით აღჭურვილი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი.

— რაზეა გათვლილი ივანიშვილის ეს ნაბიჯი?

— ელემენტარულია — ნუ ნერვიულობთ, დაგასაქმებთ, ულუკმაპუროდ არ დაგტოვებთ. ანუ, არ დაგტოვებთ შესაბამისი სტატუსის გარეშე და მიიღებთ საპატიო ადგილებს.

— ამ ლოგიკით გამოდის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება დასაქმების წყარო ხდება?

— რა თქმა უნდა. ერთი მხრივ, ივანიშვილმა მკაფიოდ დააფიქსირა, რომ პრობლემები არის და მართლაც გვჭირდება კომპეტენტური და თვისობრივად განსხვავებული ადამიანური რესურსი და, მეორე მხრივ, მათ უთხრა, რომ თქვენ სანერვიულო არაფერი გექნებათ, ვინაიდან ღირსეულად დასაქმდებითო. ეს არ არის გამოსავალი, ეს არის არასწორი მიდგომა. მაგრამ, როგორც ჩანს, პრობლემები არის მოსალოდნელი და იცით, რომ სიის ფორმირება, როგორც წესი, ყოველთვის არის შიდა აფეთქებების საბაბი. ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისთვის ეს არის მწვავე დისკუსიის და დაპირისპირების მიზეზი და ამ თვალსაზრისით „ქართული ოცნება“ გამონაკლისი არ არის.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს ხერხი გასაგებია, მაგრამ ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი და არასწორი. მე მგონია, ეს თავად ბიძინა ივანიშვილმაც იცის, მაგრამ იმისთვის, რომ არ გამწვავდეს სიის დაკოპლექტების პროცესი და კონსოლიდირებულად წარსდგეს „ოცნება“ ახალი სიით და მხარდამჭერებით, დგამს ამ ნაბიჯს, რომ ნაკლებად მტკივნეულად ჩაიაროს სიის გაწმენდის პროცესმა, არავინ არ უნდა დარჩეს უკმაყოფილო — როგორც რომის იმპერიაში ხდებოდა, როდესაც არაფრის მაქნის ჩინოვნიკებს ნიშნავდნენ აბსოლუტურად არაფრისმაქნის თანამდებობაზე, ამ თანამდებობის მეშვეობით ისინი იღებდნენ ანაზღაურებას, მაგრამ მათ გადაწყვეტილებაზე არაფერი არ იყო დამოკიდებული.

— ჩვენ გვაქვს კი ამის ფუფუნება? გამოდის, რომ ივანიშვილი ცდილობს, შექმნას ერთიანობის ილუზია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დღეს „ქართული ოცნებისთვის“...

— სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას არა აქვს იმის ფუფუნება, რომ ასეთი თანამდებობები გვქონდეს, მაგრამ როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილს ეს რესურსი აქვს. როგორც გითხარით, ივანიშვილი ცდილობს, ნაკლებად ნეგატიური ემოციებით დატვირთული იყოს ეს პროცესი, რომ ამან არ მიიღოს საჯარო პოლიტიკური სკანდალის ფორმები და შექმნას ერთიანობის ილუზია. ამას აკეთებს ყველა პოლიტიკური პარტია და ბუნებრივია, ამას აკეთებს ივანიშვილიც.

სწორედ ამიტომაც არის ეს მესიჯი ტრანსლირებული, რომ დამშვიდდეს ყველა — საკანონმდებლო საქმიანობა არ უნდა იქცეს პერმანენტულ ოცნებად „ოცნების“ წევრებისთვის, რომ არის სხვა შესაძლებლობები და ბიძინა ივანიშვილი უზრუნველყოფს მათ დასაქმებას. მათ პერსონალური გარანტია მიიღეს ბიძინა ივანიშვილისგან და ეს შემადგელობა, რომელიც დატოვებს პარლამენტს, არ დარჩება გარკვეული სტატუსისა და საპასუხისმგებლო საქმიანობის გარეშე.

— ფაქტია, რომ საკადრო რესურსებთან დაკავშირებით პრობლემები იყო და არის. ამ საკადრო დეფიციტის ფონზე, „ოცნება“ შეძლებს გუნდის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას?

— ეს არის „ოცნების“ პრობლემა. ვერავინ ვერ დამაჯერებს იმაში, რომ ქვეყანაში არ არის რესურსი, რომლის გამოყენებაც შეიძლება, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ რესურსისთვის მოტივაციის შექმნაზე თავად „ოცნებამ“ უნდა იზრუნოს. ეს არ არის მხოლოდ მატერიალური წახალისება ან ანაზღაურება, ეს არის გარანტია იმისა, რომ ეს რესურსი დამოუკიდებლად გაატარებს იმ პოლიტიკას, რომლის აუცილებლობასაც ხედავს თავისი კომპეტენციიდან და მსოფლმხედველობიდან გამომდინარე.

როდესაც შენ კვალიფიციური კომპეტენტური რესურსი მოგყავს და კარნახობ საკმაოდ პრიმიტიულ გეზს, თუ როგორ უნდა განვითარდეს და წარიმართოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესი, როდესაც, პრაქტიკულად, არ უსმენ ამ ადამიანებს, ეს არის პრობლემა. პრობლემა არის არა ის, რომ „ოცნება“ ვერ პოულობს ამ რესურსს, არამედ ის, რომ გარკვეულწილად, ეს რესურსი უნდობლობას უცხადებს „ქართულ ოცნებას“ და ეს არის სწორედ მთავარი პრობლემა.

— ანუ, „ქართული ოცნება“ ამ კომპეტენტური რესურსის დიდი ნაწილისთვის არ არის გარანტი იმისა, რომ ეს კვალიფიციური რესურსი თავის პოტენციალს გამოიყენებს ამ ქვეყნის ინტერესების განსახორციელებლად?

— „ოცნების“ ბრენდი უკვე ნაკლებ მიმზიდველი ხდება და ეს არის პრობლემა. ამდენად, „ოცნებას“ მოუწევს დამტკიცება ამ ხალხისთვის, რომ ქვეყნის მომავალი, მისი განვითარება დაკავშირებულია სწორ და ეფექტიან პოლიტიკასთან, რომლის გატარებასაც ფიქრობენ. პრობლემაა ისიც, რომ „ოცნებას“ დღემდე არ აქვს დეკლარირებული ქვეყნის განვითრების სტრატეგია, არ არის ახსნილი, რა არის ეს ქართული ოცნება. უნდობლობა არის არა მარტო „ქართული ოცნების“ მიმართ, არამედ სხვა პოლიტიკური პარტიების მიმართაც. მთლიანად პოლიტიკური კლასი არის დისკრედიტებული ამ თვალსაზრისით, იმიტომ, რომ არანაირი იდეა არა აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტა იდეებისა და ინტელექტის დეგრადაციის გზაზე დგას.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

◎ ვიზიტი

საქართველო აქტიურად ჩაებმება აზიის საინვესტიციო ბანკის საქმიანობაში

ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის პრეზიდენტს ძინ ლიცუნს შეხვდა. საუბრისას, მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს რეგიონულ როლს და განიხილეს ბანკის პოტენციური საინვესტიციო პროექტები.

შეხვედრაზე აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის პრეზიდენტმა საქართველოს ფინანსთა მინისტრს კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა თბილისში აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის დამფუძნებელი ქვეყნების მთავარი მომლაპარაკებლების მე-6 შეხვედრის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის.

ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა გამოთქვა მზადყოფნა, საქართველო აქტიურად ჩაერთოს აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის საქმიანობაში.

როგორც აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის პრეზიდენტმა აღნიშნა, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი შეინარჩუნებს მჭიდრო კომუნიკაციას ქართულ მხარესთან და მხარს დაუჭერს საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

ვალერი ხაბურძანია: აქ იქნება საშინელებები. არ გამოვრიცხავ შეიარაღებულ შეტაკებებს

ის არ ნიღბავს თავის განწყობებს, თუ სწორად ჰკითხავ, სწორად გიპასუხებს. სხვა მხრივ, ისეთი გამოცდილება აქვს, რომ თუ „არიფი“ ხარ, წამოგიკიდებს და შეეცდება თავის თანამოაზრედ გაქციოს. თუმცა, როცა ხედავს, რომ მდინარის სხვადასხვა ნაპირზე ხართ, შენს აზრსა და პოზიციას პატივს სცემს. ის პრორუსია და არც მალავს ამას, თუმცა აცხადებს, რომ საქართველოში პრორუსული კი არა, ანტიამერიკული განწყობები იზრდება. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს კი შიშით უყურებს. არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლების სისუსტე პოლიტიკურ პროცესებს დაპირისპირებასა და სისხლისღვრამდე მიიყვანს... უშიშროების ექს-მინისტრი ვალერი ხაბურძანია დღეს ჩვენი სტუმარია.

— თქვენ ფიქრობთ, რომ იზრდება არა რუსული განწყობები, არამედ — ანტიამერიკული?

— რა თქმა უნდა, ეს ჩვეულებრივი ზიარჭურჭლის პრინციპია. რადგან ანტიამერიკული, ანტიდასავლური განწყობა იზრდება, ეს ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს რუსული იზრდება. ასეთ განწყობებს ძირითადად, პოლიტიკოსები ქმნიან თავიანთი განცხადებებით. ჩემზე უკეთესად არავინ იცის, იზრდება თუ არა რუსული განწყობები. მე, კაცს, რომელიც იქ ვცხოვრობ, შემიძლია გითხრათ, რომ რუსული განწყობების გასაზრდელად საქართველოში რუსეთის მხრიდან არც ერთი ნაბიჯი არ იდგმება. ამისათვის არ იხარჯება არც ერთი დამატებითი კაპიკი, გარდა იმისა, რაც მუდმივად კეთდებოდა და იხარჯებოდა.

— ვიზალიბერალიზაციის პარალელულად, რუსეთის დაჩქარებული ფაციფუცი და სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ პირადად პუტინის მიერ გაკეთებული განცხადება რუსეთის მხრიდან გადადმული ნაბიჯი არ არის?

— ეს არის კონკრეტული ტელევიზიის, ერთი კონკრეტული ჟურნალისტის დამსახურება, რომელმაც პუტინს შესაბამისი კითხვა დაუსვა. ანალოგიური პასუხი მას არაერთხელ ჰქონდა გაცემული. ეს ვადაში დაემთხვა ვიზალიბერალიზაციის პროცესს.

— და პუტინის პოლიტიკური ბლეფი იმის თაობაზე, რომ ქართველები და აფხაზები უნდა შეთანხმდნენ და კრემლი ამ შეთანხმებას დაეთანხმება. ხომ ცხადია, რომ სოხუმი უმოსკოვოდ ნაბიჯსაც ვერ დგამს! ეს თვალნათლივ გამოჩნდა თუნდაც თურქეთისათვის სოხუმის მიერ ემბარგოს გამოცხადების საკითხშიც.

— პუტინს ასეთი საუბრები ყოველთვის აქვს, ყოველთვის მაგას ამბობდა, ქართველებმა მოაგვარეთ საკითხი აფხაზებთან და ოსებთანო. მოდით, გავაშიშვლოთ პოლიტიკა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ვითომ რუსეთის გასაშიშვლებლად და ნიღბის ჩამოსახსნელად და ნაბიჯი არ გადადგმულა აფხაზეთთან და ოსეთთან კომუნიკაციისთვის. მაგალითად, მე — სახელმწიფოს მეთაური, ჩავიდოდი სოხუმში. აფხაზეთი უარს იტყვის ჩასვლაზე?

— პატრიარქმა გამოთქვა ამის სურვილი, მაგრამ უარი უთხრეს.

— პატრიარქი და რელიგიური მომენტები ცოტა განსხვავებული და სენსიტიური თემაა და ეს არ არის პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის მომენტი. პატრიარქის ჩასვლას ექნებოდა მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა.

— საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ შესთავაზა მათ გაფართოებული უფლებები, გახსოვთ ნეიტრალური პასპორტების თემაც.

— სააკაშვილი რომ გამოხტებოდა და რაღაცას იტყოდა, ეგ არ არის ურთიერთობა. აფხაზები, ამ წუთას, თავიანთი ფსიქოლოგიური მომენტით არიან „გამარჯვებული“ მხარე, რომლებმაც მოიგეს ომი. ჩვენ ვსაუბრობთ ქვეყანაზე, რომელიც ერევა მეზობელი ქვეყნის სუვერენიტეტში. დღეს გლობალურ სამყაროში საერთაშორისო სამართლის სიკვდილის პირობებში ამაზე ნიშნის მოგება პოლიტიკაში ბავშვობა მგონია.

— ჩვენ სხვა მეზობლებიც გვყავს და მათთან არ გვაქვს მსგავსი პრობლემები.

— ვინ მეზობლები გვყავს? ჩვენ მეზობელი, რომელთანაც პრობლემები გვაქვს, არის რუსეთი. თუ რამე არ ჩანს რომელიმე მეზობელთან, იმიტომ რომ იძულებულნი ვართ დავთმოთ... ვთმობთ თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, რუსეთთან. პრობლემები ყველა მეზობელთან გვაქვს.

— პრობლემები შეიძლება არსებობდეს მაგრამ ეს არ არის თანაბარწონადი იმასთან შედარებით, რაც გვაქვს რუსეთთან.

— მოდით ასე ვთქვათ, ეს არის სეპარატისტული რეგიონები, რომელსაც მხარი დაუჭირა რუსეთმა, რადგან მის ინტერესებში შედიოდა. ამას ჩვენც შევუწყვეთ ხელი. მარტივი რამე რომ გავიხსენოთ, მე არ მგონია, მართლა ნახევარ საათში გაეთავისუფლებინა ელიცინს აფხაზეთი მაშინდელი ჩრდილო კავკასიელი ბოევიკებისგან. მაგრამ შევარდნაძეს ჰქონდა შეთავაზება და გაწელა ეს პროცესი. რაც მივიღეთ, მკაფიოდ ჩანს.

მაშინ რუსეთს შეეძლო, ხელი შეეშალა ჩრდილოკავკასიელი ბოევიკებისთვის, მაგრამ არ შეუშალა. რუსეთისთვის ეს მოტივაცია ჩვენ უნდა გაგვეჩინა.

— გასაგებია, მაგრამ არის თუ არა დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა?

— რა თქმა უნდა. ტერიტორიული მთლიანობა რომ დარღვეულია, ეს ისეთივე სიმართლეა, როგორც ორჯერ ორი ოთხია. ამას თქვენ შეგიძლიათ დაარქვათ ოკუპაცია, შეგიძლია დაარქვათ **მხარდაჭერილი სეპარატიზმი,** შეგიძლიათ დაარქვათ **ერთა გამორკვევა.** ჩვენ, ქართველებს, გვინდა, რომ ამას ერქვას **ოკუპაცია,** მაგრამ მე ვეძახი **მხარდაჭერილ სეპარატიზმს.**

— თქვენ აპირებდით პოლიტიკაში აქტიურობას და პოლიტიკური პარტიის შექმნას?

— დაანონსება საჭირო იყო იმისათვის, რომ მე მომესინჯა ნიადაგი და რესურსი. ნიადაგი ნამდვილად არის, ნიადაგი პრორუსული ძალისათვის საკმაოდ ნოყიერია. რაც უფრო გადის დრო, პოლიტიკა მით უფრო ძვირდება, განსაკუთრებით ეს გაძვირდა დღევანდელი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლასთან ერთად. იმისათვის, რომ ნორმალური პოლიტიკური პარტია შეიქმნას, დაახლოებით საჭიროა 5 მლნ დოლარი წელიწადში.

ახლა იმიტომ გაძვირდა, რომ სააკაშვილის დროს საერთოდ აზრი არ ჰქონდა პოლიტიკურ პარტიაზე ფიქრს. სააკაშვილის დროს პარტია შეგექმნა და თან 5 მლნ გქონოდა, დამთავრებული იყო შენი ამბავი.

— სააკაშვილის დროს ოპოზიციური პარტიები არ იყო? დღევანდელი ხელისუფლებაც ხომ ოპოზიციაში იყო?

— კარგით რა, რომელ პარტიებზე საუბრობთ? ერთი კაცის პარტიებზე? პრეზიდენტისადმი მიმართვა წავიკითხე, რომელსაც ხელს აწერს 15 პოლიტიკური პარტია. სასაცილოა ეს ყველაფერი. ახალი მემარჯვენეების პარტია არსებობს თქვენი აზრით? რამდენი კაცი იხდის ამ პარტიაში საწევროს? ჩემი მეგობარია კახა კუკავა, ეწყინება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა. თვითონ კახა კუკავა რომ არ იყოს, პარტია „თავისუფალი საქართველო“ იარსებებს? ასეთივეა „ევროპელი დემოკრატები საქართველოსათვის“ და კიდევ ბევრი.

— რატომ? იყო რესპუბლიკური პარტია, ეროვნული ფორუმი...

— და მერე რა? ფაქტობრივად, დროებითი ენთუზიაზმის გავლის შემდეგ ორი კაცი იყო „ეროვნული ფორუმი“ და 7 წიგნის წამკითხავი კაცია „რესპუბლიკური პარტია“. ესენი არ არიან პარტიები, ესენი არიან სალონური ტიპის ჯგუფები, რომელიც რაღაცას რომ მიეკედლებიან, ღებულობენ სტრუქტურულ სახელს.

— ანუ ფინანსების გამო გადაიფიქრეთ?

— ვატყობ, რომ დღეს მე თვითონაც არ ვარ მზად, ავიტანო ბრძოლის ის ფორმები და მეთოდები, რომელიც მოსალოდნელია.

— რას გულისხმობთ?

— აქ იქნება საშინელებები. დაწყებული პირადული კომპრომატული შეურაცხყოფებიდან, დასრულებული ფიზიკური მოქმედებებითაც კი. არ გამოვრიცხავ დაპირისპირების ზოგიერთ შემთხვევაში ლეტალურ შედეგებამდე მისვლასაც კი. ძალიან გამწვავდა სიტუაცია, სახელმწიფო ძალა არ არის კონცენტრირებული. ბევრი ცარიელი ნიშია, სადაც ბევრი ძალა ჩაერთვება და ეს ძალები არამართვადია. სახელმწიფო იმდენად სუსტია, არ გამოვრიცხავ, რომ ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვეს ამ ყველაფერს. ვგულისხმობ კრიმინალური დონის შეჯახებებს, შეიარაღებულსაც კი. გამორიცხავთ შეიარაღებულ შეტაკებებს? სააკაშვილის დროს — პოლიტიკური ქვის ხანის დროს — ქვების სროლები გახსოვთ, ალბათ. და ახლა, რეგიონებში შეიარაღებულ შეტაკებებს გამორიცხავთ? მე არ გამოვრიცხავ.

— შეტაკებებს ვისსა და ვის შორის?

— ჯერ ერთი, რეგიონებში დარჩა მაჟორიტარული სისტემა და წარმოგიდგენიათ რაიონებში რა შეტაკებები იქნება ამის გამო? მეორეც, ხელისუფლებიდან არ არის მესიჯი, ვისზე გააკეთო კონცენტრირება. არჩევნების წინ პრემიერ-მინისტრის ასეთი უცაბედი შეცვლა აბნევს სოციალურ, ეკონომიკურ თუ ბიზნესჯგუფებს. ვერ ხვდებიან, საით აიღონ ორიენტირი. პაატა ბურჭულაძე გამოჩნდა, ცალკეულ ვიცე-პრემიერებს ჰქონიათ ამბიციები... და არჩევნებამდე 1 წლით ადრე ორიენტაცია არ არის. 6 თვეში ამის გადაწყობა წარმოუდგენელია. დრო აღარ რჩება გადასაწყობად.

— და, თქვენს მიერ ჩამოთვლილი მოტივებისა და გარემოებების გამო, ამბობთ უარს პოლიტიკური ძალის შექმნაზე?

— იმის გამო, რომ მეჩქარება და ასაკი მემატება, არ ნიშნავს, რომ გადავდგა ისეთი ნაბიჯი, რაც მეტ ზიანს მომაყენებს და ზიანს მიაყენებს იდეასაც, რასაც მე ვფიქრობ ყველამ იცის — **საქართველოში უნდა არსებობდეს ორი ტიპის პარტია: პროდასავლური და პრორუსული.** იყოს ღია კონკურენცია, რუსეთმაც დახარჯოს ფული და იარსებონ ამ ძალებმაც. დასავლეთი ისედაც ხარჯავს. რაც მეტი ფული დაიხარჯება და პოლიტიკური ძალები იარსებებენ, ბნელი ძალებისთვის ადგილი არ დარჩება. ღია კონკურენცია ყოველთვის იძლევა ზრდის საშუალებას. ეს ყველაფერი დასავლეთსაც გაუჩენს მოტივაციას რეალურად იმოქმედოს. დასავლეთი დღეს ადეკვატურად არ იქცევა საქართველოში. ის მინიმალური დანახარჯებით მოათრევს საქართველოს.

— თქვენ თქვით, რუსეთმაც დახარჯოს ფული საქართველოშიო. თქვენ იქ ცხოვრობთ, მუშაობთ, თქვენი და პუტინის მეგობრობაზეც საუბრობენ, რატომ არ გაძლევთ ფულს?

— აქ აქვთ ასეთი წარმოდგენა, რომ რუსეთი მოგცემს ფულს და წამოხვალ. ვთქვათ, 5 მილიონი ქეში წამოვიღო და აქ რაღაცები ვაკეთო, არ ვაპირებ ასე პოლიტიკის გაკეთებას. რუსეთში ამის არც მზაობაა და არც სურვილი, რომ ვინმე ქართველს ასე ჩაუდონ ფული და გამოუშვან.

ესაუბრა
ლაშა ნოდია

◎ დედაქალაქი

როგორ სრულდება მსოფლიო ბანკის პროექტები?

თბილისის მერი დავით ნარმანია სამხრეთ კავკასიაში, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორს მერსი ტემბონს შეხვდა.

შეხვედრაზე ყველა ის საკითხი და პროექტი მიმოიხილეს, რომელთა განხორციელებაში მსოფლიო ბანკია ჩართული, კერძოდ, იმსჯელეს ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა 13 ივნისის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები და მდინარე ვერეს ხეობის უსაფრთხო მართვის სტრატეგია, ასევე, ისაუბრეს ურბანული განვითარებისა და ქალაქის ტურისტულ ნაწილში სარეაბილიტაციო აღდგენითი პროექტების მხარდაჭერის საკითხებზე.

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, შეხვედრა, როგორც მიმდინარე პროექტების განხილვის, ასევე სამომავლო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების გამოკვეთის კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„შევთანხმდით, რომ მსოფლიო ბანკი განიხილავს, მდინარე ვერეს ხეობის უსაფრთხო მართვის სტრატეგიას და შესაბამისად, ჩვენს წინადადებებს, რათა დაგვეხმარონ როგორც ტექნიკურ-ეკონომიკური, ასევე, დაფინანსების თვალსაზრისით. ქალაქის ურბანული განვითარების სტრატეგიის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იქნება მათი მხარდაჭერა და ამ თემაზეც ვისაუბრეთ. გარდა ამისა, მიმოვიხილეთ მუნიციპალიტეტის ინსტიტუციური განვითარების საკითხები“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

„ჩვენ გავაგრძელებთ თბილისის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერას, დავეხმარებით ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარებაში, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს, მობილიზებას გავუკეთებთ რესურსებს, რათა რეალურად ჩატარდეს კვლევა. საჭიროა, ჩვენმა გუნდმა შეხედოს, რა შეგვიძლია ჩვენი მხრივ გავაკეთოთ, შემდეგ გავმართოთ მომდევნო შეხვედრები და ვაცნობოთ მუნიციპალიტეტს, მათი მოთხოვნებიდან რისი დაკმაყოფილება შეგვიძლია. რაც შეეხება ცოდნის გაზიარებას, ჩვენ დავაკავშირებთ თბილისს ამ საკითხში მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკების მქონე ქალაქებთან. ჩვენი თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იქნება ტურიზმიც“, — განაცხადა სამხრეთ კავკასიაში, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა მერსი ტემბონმა.

შეხვედრას სარა მაიკლი, მსოფლიო ბანკის მდგრადი განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი სამხრეთ კავკასიის რეგიონულ დეპარტამენტში, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, თბილისის ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე, მერის მოადგილე ნინა ხატისკაცი და კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი გივი კუბლაშვილი დაესწრნენ.

◎ ჯერ გენგეგმა, მერე – მშენებლობა!

„კუჭისტი“ ინვესტორები დედაქალაქს გვიმახინჯებენ

თბილისში მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა შეიზღუდება

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, დედაქალაქში მშენებლობების კუთხით ქაოსური მდგომარეობაა. ამდენად, მინისტრთა კაბინეტი უახლოეს პერიოდში პარლამენტს წარუდგენს ახალ კოდექსს, რომლის მიხედვითაც მოწესრიგდება მშენებლობების პროცესი მანამ, სანამ თბილისის მერია დედაქალაქის გენერალურ გეგმას არ წარმოადგენს.

„რაც შეეხება თბილისს, გეთანხმებით, საკმაოდ მძიმე სურათი გვაქვს მშენებლობის სექტორში. ეს არის ქაოსური მდგომარეობა კოეფიციენტების კუთხით, გენგეგმების კუთხით. მანამდე, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, ისაა, რომ ყიდვის კოეფიციენტები უნდა შევამციროთ და ეს გადაწყვეტილება მერიაში იქნება მისაღები, რომ აბსოლუტურად გაუგებარი მაღალსართულიანი სახლები არ შენდებოდეს კერძო დასახლებაში და ერთ მშვენიერ დღესაც კორპუსის ქვეშ არ აღმოჩნდეს ის ადამიანი, რომელმაც კერძო სახლი შეიძინა“, – განაცხადა **გიორგი კვირიკაშვილმა** და აღნიშნა, რომ პირადად მიადევნებს თვალს თბილისის ისტორიული უბნის რეაბილიტაციას, რადგან ძველი თბილისი მისთვის უმნიშვნელოვანესია და ძველი შენობები მომავალ თაობებს იმ სახით უნდა შემოვუნახოთ, რა სახითაც შემოგვინახეს წინა თაობებმა.

არქიტექტორი ვახტანგ დავითაია გიორგი კვირიკაშვილის სწორ პოზიციას მიესალმება, მაგრამ For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ეს ენთუზიაზმი ძნელად განსახორციელებელია და პრემიერ- მინისტრი უამრავ სფეროს ვერ გააკონტროლებს. ამიტომ ეს პრობლემა ინსტიტუციური მოწყობით უნდა გადაწყდეს.

„კომუნისტები გიჟები კი არ იყვნენ, რომ 400-კაციანი მშენებლობისა და არქიტექტურის სამინისტრო ჰქონდათ. ყველაფერს ეს სამინისტრო განაგებდა. არ მინდა, ერთმანეთში ავურიოთ კომუნისტების უსახური არქიტექტურა, ხრუშჩოვიზმი, მიკრორაიონები, კვარტალები, ეს იყო უმწვავესი სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთი საშუალება, თორემ უსახური არქიტექტურა საბჭოთა ხელისუფლების მიზანი არ ყოფილა. კარგად მახსოვს, ეტაპობრივი იმ პროექტების განხილვისას ყოველ კვადრატულ მეტრზე, ყოველ მანეთზე იყო ბრძოლა, რომ შენობა იაფი დამჯდარიყო. ქალაქგეგმარებითი, ურბანული დისციპლინა მაინც არსებობდა, შენდებოდა პროექტების მისედვით, რადგან ამას ჰყავდა მეთვალყურე. ახლა კი 400-კაციანი სამინისტროს საქმე დავალებული აქვს ბატონი კვირიკაშვილის ყოფილ სამინისტროს 10-15 კაცს, ეს აბსურდია, სასაცილოა.

ბატონმა კვირიკაშვილმა უნდა დაიწყოს არქიტექტურულ-ურბანული პრობლემების მოგვარება ინსტიტუციური მოწყობიდან და, თუ არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროს დაფინანსება ჩვენ არ შეგვიძლია, ამ სფეროში ძლიერი დეპარტამენტი მაინც უნდა გვყავდეს ინფრასტრუქტურის სამინისტროში, ის უფრო ახლოსაა ამ საქმესთან, ვიდრე ეკონომიკის სამინისტრო.

გარდა ამისა, ჩვენს ზოგიერთ ინვესტორს მოქალაქეობრიობისა არაფერი გააჩნიათ. საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ბიზნესიდან აუცილებლად 100%-იანი მოგება უნდა მიიღონ, მშენებლობებშიც ძალზე მაღალ მოგებაზეა საუბარი, იმიტომ ხდება „სასწაულები“, სიმაღლისკენ ლტოლვა, სიმჭიდროვე, არსებული ინფრასტრუქტურა იოლად გამოდის მწყობრიდან. ინვესტორი პატარა ტერიტორიას იყიდის, სადღაც უკვე ჩამოყალიბებულ რაიონში, იქნება ეს საბურთალო, დიღომი, სადაც საინჟინრო ქსელები მიყვანილია და საქმეს იიოლებს. მათ არ სურთ, აითვისონ სხვა ტერიტორიები“, – აცხადებს ვახტანგ დავითაია.

ამასთან, უსახურობის და თავხედობის ნიმუშად მიიჩნევს იმელის უკან წამოჭიმულ მაღალ შენობას. არადა, იმელის შენობის გაფართოების უბრწყინვალესი პროექტი არსებობდა, რომელიც ინგლისელ არქიტექტორს ლეონ კრიერს ეკუთვნოდა. ეს პროექტი ბანერზეც იყო გამოფენილი და ამის შემხედვარე ვახტანგ დავითაიამ მოწონების იმეილიც გაუგზავნა კოლეგას, ამცნო, რომ მოსწონდა თავდაჭერილი, ზომიერი არქიტექტურული კონტექსტით შესრულებული პროექტი, მაგრამ „ისევ „კუჭისტებმა“ იმძლავრეს და ის პროექტი მოისროლეს“.

„ნუ გვექნება იმედი, რომ არქიტექტურასა და ქალაქგეგმარებაზე იზრუნებს ინვესტორი, ეს აბსურდია, მას აინტერესებს მხოლოდ ფული. არა მხოლოდ მერიის ჩინოვნიკების და არქიტექტურის სამსახურის, არამედ უპირველესად თვით ინვესტორების მორალისა და ეთიკის საკითხი უნდა დადგეს. ეს საკითხი ასე მწვავედ არავის დაუყენებია. მე მოვითხოვ, უკლებლივ ყველა ინვესტორი ამ კუთხით განისაჯოს. დოკუმენტაცია არსებობს და, თუ პროკურატურა დაინტერესდება, მერიის არქიტექტურის სამსახურში გაარკვევენ, ვინ დაწერა რეცენზია, ვინ გაუხსნა გზა პროექტს, ვინ დაამტკიცა, უგულავას დროს იყო შემოღებული ე.წ. კოეფიციენტების ყიდვის წესი. მანამდე ისტორიულ უბნებში კანონი კრძალავდა მაღლივ შენობებს, ამ დროს შეგიძლიათ იყიდოთ კოეფიციენტი. ეს იგივეა, კაცი მოკლათ და ფულის გადახდით გამოისყიდოთ დანაშაული.

სამართლიანობის აღდგენამ ჯერჯერობით არქიტექ-

ტურამდე ვერ მიაღწია. ვინც მერაბ ბერძენიშვილის უბრწყინვალესი მემორიალი ააფეთქა, ან დავით აღმაშენებლის ძეგლი გადაიტანა დიღომში და ჩადგა მტვერსა და ნაგავში, ისინი არ უნდა დაისაჯონ?!“

ქალაქდაგეგმარების სპეციალისტი ზურაბ ბაძრაძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ გიორგი კვირიკაშილის განცხადება არაკომპენტენტური წინასაარჩევნო დაპირებაა და მეტი არაფერი.

„მაღალსართულიანს რომ ამბობს ბატონი პრემიერი, რას ჰქვია მაღალი სართული? ეს არის გასარკვევი, თორემ კოეფიციენტების გაყიდვა ისევ არ იკრძალება. ეს თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციაა და ამაში პრემიერ-მინისტრს ჩარევა არ უნდა შეეძლოს. მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს ეს და გააუქმოს, ცენტრალური ხელისუფლების გარეშე. თუ მაგათ საქმის გაკეთება უნდოდათ, აქამდეც გააკეთებდნენ. 2015 წლის ბოლოს გახდა ქალაქი ქაოსური? ახლა გახდა მათთვის ნათელი, რომ საქართველოში მშენებლობაში ქაოსია? თუნდაც იმელის შენობის უკან მაღლივი შენობა რომ წამოჭიმეს, ეს დანაშაულია, ეს დაცული ზონა უნდა ყოფილიყო, ეს არის ძველი ქალაქი და ახლა ეს სწორედ ამ ახალ მაღლივი შენობის აშენებას იცავდა ბატონი ქუმსიშვილი, ეკონომიკის მინისტრის მოადგილეობის დროს. ის ყველანაირად გვიმტკიცებდა, წინა ხელისუფლებამ ასეთი ხელშეკრულება დადო და ჩვენ ვერაფერს ვიზამთო. არადა, როცა უნდათ, ყველაფერს ცვლიან. ბოლოს და ბოლოს, ამ მაღლივი შენობის დაწყების საშუალებას არ მისცემდნენ ინვესტორს, გაუცვლიდნენ სხვა ტერიტორიაში. იმავე ქუმსიშვილმა გვითხრა, ამ მშენებლობის შეწყვეტა როგორ შეიძლება, იცით, რამდენი ფული შემოდის ხაზინაში მშენებლობიდანო? არადა, ასეთი მშენებლობა ჩვენს სამშობლოს ათახსირებს და გამოდის, რომ გათახსირებაში ფულს იღებს ხელისუფლება“.

მანანა ნოზაძე

◎ ტურიზმი

აჭარა განა მარტო ზღვა არის!..

წლეულს საოჯახო სასტუმროების მფლობელთა ტრენინგები იგეგმება

ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო წლეულს ახალ პროექტებს იწყებს. სააგენტო, რომელსაც პროფილი და სახელი აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა 2015 წელს შეუცვალა, სოფლად ტურიზმის და საზღვაო ზოლს მიღმა არსებული ტურისტული პოტენციალის ათვისება-განვითარებაზეა ორიენტირებული.

„ჩვენი მიზანია აჭარა მხოლოდ ზღვაზე დასვენებასთან არ ასოცირდებოდეს, რადგან რეგიონს საზღვაო ზოლს მიღმაც კარგი ტურისტული პოტენციალი აქვს. სააგენტოს პროფილის შეცვლის ძირითადი მიზანიც, სწორედ ამ აუთვისებელი პოტენციალის კომერციალიზაცია, მისი ათვისება და პოპულარიზაციაა. სააგენტოს ერთ-ერთი მიმართულება ამ კუთხით წელს ახალი მარშრუტებისა და ტურისტული პროდუქტების შემუშავება იქნება“, – განაცხადა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ მამუკა ბერძენიშვილმა.

წლეულს, სააგენტო ყველა მუნიციპალიტეტში ახალი სრულყოფილი ტურისტული მარშრუტების შექმნას გეგმავს, რომლებსაც დაემატება სხვადასხვა სერვისი, რაც მარშრუტში საოჯახო სახლების ჩართვას, ადგილობრივი კერძების დეგუსტაციას, ადგილობრივი ხელნაკეთი ნივთების გაცნობასა და სხვა სერვისებს ითვალისწინებს. სააგენტო, ასევე გეგმავს აჭარაში არსებული საოჯახო სახლების ბაზის შექმნას, რომელიც თავისი ფოტოებითა და ინფორმაციით განთავსდება დეპარტამენტის ვებგვერდზე.

შარშან, მარშრუტების კუთხით საგენტომ ორი ახალი მარშრუტის მარკირება მოახდინა, რაც მაჭახელას ისტორიულ-კულტურული მარშრუტისა და ბათუმი-მირვეთი-ბათუმი ველომარშრუტის ნაწილობრივ მარკირებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, შეიმუშავა ახლადგახსნილი სამთო-სათხილამურო კურორტის გოდერძის ტურისტული პაკეტები და მარშრუტი. **„ჩვენი ძირითადი მიზანი მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში მრავალფეროვანი ტურისტული მარშრუტების შექმნა, ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია, სპეციალური პაკეტების, ტურების შექმნა და ბათუმში ჩამოსული სტუმრებისთვის მათი შეთავაზება,“** – აცხადებს ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი **თინათინ ზოიძე.**

ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო სერვისის გაუმჯობესების მიზნით აჭარაში საოჯახო სასტუმროების მფლობელთათვის ტრენინგებს გეგმავს. ერთკვირიანი ტრენინგებისას მონაწილეებს სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიაში დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტების შესახებ მიაწოდებენ ინფორმაციასა და საინფორმაციო ბროშურებს, სადაც მომსახურების ძირითადი ნორმების შესახებ იქნება საუბარი. გარდა ამისა, სააგენტო კონკრეტული მარშრუტების მიხედვით გიდების გადამზადებასაც გეგმავს. ტრენინგები როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს მოიცავს.

გარდა ამისა, სააგენტო რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით ორგანიზებას გაუწევს ფესტივალებს, მათ შორის ზაფხულის ფესტივალს, ფრინველების საერთაშორისო ფესტივალსა და შემოდგომის ფესტივალს, ასევე ინფო და პრესტურებს.

სიახლე იგეგმება ტურისტული საინფორმაციო ცენტრების მხრივაც. რეგიონში არსებულ 8 საინფორმაციო ცენტრს კიდევ ერთი დაემატება, რომელიც ბათუმი ცენტრალის შენობაში განთავსდება. საინფორმაციო ცენტრებში ასევე იგეგმება სარეალიზაციო პრუდუქტების (მარშრუტები, რუკები, ტურები, ბროშურები, თემატური სუვენირები) განახლება და გამრავალფეროვნება.

„მიმდინარე წელს, ჩვენ არაერთ საინტერესო პროექტს ვგეგმავთ, რომელშიც სტუდენტები, სასტუმროები, კვების ობიექტები და ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული სხვა სექტორის წარმომადგენლები იქნებიან ჩართულები. სპეციალურ შეთავაზებებსა და წამახალისებელი აქტივოებები გვექნება ადგილობრივი ტურისტული სააგენტოებისთვისაც, რაც საბოლოო ჯამში ჩვენს კორდინირებულ მუშაობასა და რეგიონის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს,“ – განაცხადა ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა თინათინ ზოიძემ.

ნაცებს საერთო დანაშაული აერთიანებთ, ქოცებს – საკუთარი ძალების შეუფასებლობა

„საიდუმლო სერობა“ საგურამოში

ძველით ახალ წელს „ქართული ოცნების“ ფუძემდებლის – ბიძინა ივანიშვილის საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრამ, რომელიც საგურამოში, გურამიშვილების ისტორიულ მარანში გაიმართა, საზოგადოების დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ზოგი ჩვენი ზედმეტად დაეჭვებული პოლიტიკოსის მიერ „საიდუმლო სერობად“ მონათლული ამ თავყრილობისადმი ინტერესი იმან უფრო გააღვივა, რომ მასში სხვებთან ერთად მიწვეული იყო პრემიერყოფილი ღარიბაშვილიც, რომელსაც ბოროტი ხმები ივანიშვილთან ურთიერთობის საბოლოოდ გაფუჭებას უწინასწარმეტყველებდნენ. ინტრიგა გააღრმავა იმანაც, რომ შეხვედრას საპარლამენტო უმრავლესობა ლამის სრული შემადგენლობით ესწრებოდა, თვით პარლამენტის თავკაცი უსუფაშვილი კი იქ საერთოდ არ გამოჩენილა.

სენსაციების მოყვარულ ჟურნალისტებსაც მეტი რა უნდოდათ, მარნის კართან ჩასაფრებულნი, ცდილობდნენ „სერობის“ მონაწილეთათვის რაიმე საიდუმლო დაეცინცლათ, მაგრამ უშედეგოდ. ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა – ჩვენ აქ „კალანდაზე“ შევიკრიბეთ და არა პოლიტიკური საკითხების გასარჩევადო. ინტრიგის მაძიებლებმა ისიც კი ვერ დაადგინეს, „მოქეიფეთა“ დანახარჯი ივანიშვილმა გადაიხადა (თითოეულმა 50 ლარი დავდეთო, აცხადებდნენ დეპუტატები), თუ პარლამენტარებმა მილიარდერი იქით დაპატიჟეს. უხერხულია, ამას ბატონ ბიძინას ხომ ვერ შევეკითხებიო, ცდილობდა თავის დაძვრენას „ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე.

არადა, სწორედ ირაკლი კობახიძის იმ განცხადებას მოჰყვა საპარლამენტო შფოთი, რომელიც მან ივანიშვილთან უმრავლესობის შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე საარჩევნო სიის ფორმირებასთან დაკავშირებით გააკეთა. როგორც ამბობენ, მას ეს პოლიტიკური გამოუცდელობით მოუვიდა, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ პარტიის აღმასრულებელი მდივნის განაცხადმა კოალიციის სპორტული და თეატრალური წარმომადგენლობა სერიოზულად აღაშფოთა. ყველამ იფიქრა, რომ კობახიძემ ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილის აზრი გაახმოვანა, რომელსაც აღარ სურს სპორტსმენები და მსახიობები მომავალ პარლამენტში იხილოს. მართალია, სუფრის თამადის თემურ ჭკუასელის ნათქვამმა – ვინც პარლამენტში ვერ მოხვდება, ბიძინა მათ სხვა უწყებებში კარგ თანამდებობებს შეჰპირდაო, – სიტუაცია ერთგვარად განმუხტა, მაგრამ უკვე დანთებული ცეცხლი მაინც ვერ გაანელა.

ბუნებრივია, სპორტსმენ და მსახიობ პარლამენტარებს, იმის მიუხედავად, სურს თუ არა ივანიშვილს მომავალ პარლამენტში მათი ხილვა, სულაც არ ეთმობათ დეპუტატის თბილი და რბილი სავარძლები, მით უფრო, თუ სავარძელთან ერთად მათ გარანტირებული მსუყე შემოსავლები და საბიზნესო წყაროებიც ეკარგებათ. ამის დასტურია გლდანის მაჟორიტარი დეპუტატის სოსო ჯაჭვლიანის განაწყენება, რომელმაც „ქართული ოცნების“ მამამთავარს წერილობითი უსტარი აახლა და რაღაცების გარკვევა მოითხოვა. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტში გაცილებით ნაკლები სპორტსმენი და მსახიობია, ვიდრე საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის პარლამენტებში.

სოსო ჯაჭვლიანს მიაჩნია, რომ პარლამენტში სპორტსმენიც უნდა იყოს, იურისტიც და ეკონომისტიც. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ სპორტსმენებმა „ქართული ოცნების“ გახელისუფლებაში დიდი როლი შეასრულეს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო მსოფლიოს სწორედ ხელოვნებისა და სპორტის წარმომადგენლებმა გააცნეს. თუ აქტივობაზე, პროფესიონალიზმზე, ცნობადობასა და ავტორიტეტზეა ლაპარაკი, მაშინ ჩვენს საქართველოს, პოლიტიკური კუთხით, დედამიწის ზურგზე არავინ იცნობს, ყოველთვის საქართველოს იცნობდნენ დიდი ხელოვნებით, დიდი მეცნიერებითა და დიდი სპორტით, – ამბობს ჯაჭვლიანი.

არავინ უწყის, ბიძინა ივანიშვილი საპარლამენტო სიის შედგენისას (იმედი უნდა ვიქონიოთ, მარტო არ შეადგენს) გაითვალისწინებს თუ არა სპორტსმენებისა და მსახიობთა პრეტენზიებს, მით უფრო, რომ „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნო პერიოდში სხვა ბევრი შიდატკივილიც აწუხებს. 2012 წელი იყო პარტიების პოლიტიკური ომი დამნაშავე ნაციონალურ მოძრაობასთან. ივანიშვილმა კარგად იცოდა, რა ავტორიტეტიც ჰქონდა მაშინ ამ ხალხს და ამიტომაც გაამწესა ისინი მაჟორიტარებად. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. ახლა ისინი აქტუალურები აღარ არიან. ამასთან, კოალიციის შიგნით მიდის „ხელჩართული ბრძოლა“ გამსვლელი ადგილებისათვის და ამიტომაც ცდილობენ, სია ძირითადად პოლიტიკოსებით, იურისტებითა და ეკონომისტებით დატვირთონ.

ან კი რა რეიტინგზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ქვეყანაში სასამართლო სისტემა კოლექტიური მურუსიძე-ბურუსიძეებით გაივსო და სასამართლო თავად გახდა სამართალდასაცავი?

გავრცელებული ინფორმაციით, კოალიციაში კვოტების გადანაწილებაზე დიდი დაპირისპირებაა. არჩევნების მოახლოებასთან ერთად ეს დაპირისპირება კიდევ უფრო მწვავდება. აქ თავმოყრილი ძალები ერთმანეთზე კომპრომატების გავრცელებით მძლავრობენ. კოალიციაში შემავალ ზოგიერთ პარტიას მადა ისე გაუღვივდა, რომ მთავრობაში დამატებითი პორტფელები მოითხოვა, რამაც, როგორც ამბობენ, მინისტრთა კაბინეტში ცვლილებები დროებით გადასწია. ამან უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თამაზ მეჭიაური იმდენად გააღიზიანა, რომ თავი ვეღარ შეიკავა და, როგორც სჩვევია ხოლმე, აწეული ხმით განაცხადა: ვისაც არ მოსწონს კოალიციის განაწესი, შეუძლია ჩვენგან გავიდეს და კენჭი ცალკე იყაროსო. მართალია, პარტია არ დაუსახელებია, მაგრამ ყველა მიხვდა, რომ კენჭებს რესპუბლიკელების მისამართით ისროდა.

თუმცა, ყველამ ვიცით, რესპუბლიკელები იმის ჩიტები არ არიან, მეჭიაურის ნასროლს თავი შეუშვირონ. მათ კარგად ესმით, რომ ხალხის ლეგიტიმაცია აკლიათ და არჩევნებში ცალკე გასვლის შემთხვევაში, წაგება არ ასცდებათ. ისიც ფაქტია, რომ საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“, ჩამოქვეითებული რეიტინგის გამო, ხალხის არჩევნებზე მოყვანის სერიოზული პრობლემა ექნება. ამიტომაც ბევრი ექსპერტი დასავლეთთან უშუალო მოკავშირის – „რესპუბლიკელების“ კოალიციიდან გასვლას გამორიცხავს. მათი აზრით, „ოცნებას“ არჩევნებისათვის ეს პარტია ისე დასჭირდება, როგორც არასდროს. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ საარჩევნო სიებში უფრო მეტი „რესპუბლიკელი“ ვიხილოთ.

საერთოდაც, კოალიციურ ხელისუფლებაში „რესპუბლიკელების“ გარდა, როგორც ჩანს, პოლიტიკურ სარბიელზე სხვებიც ვერ მოიწონებენ თავს ვარსკვლავების კრეფით. ბევრისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ქვეყანა მართონ პოლიტიკოსთა გუნდებმა, რომლებსაც დაპირისპირებული მსოფლმხედველობა აქვთ? განა ნორმალურია, ერთ მაგიდასთან წყვეტდნენ საკითხებს, მაგალითად, იგივე „რესპუბლიკელები“ და „მრეწველები“, ისინი ხომ ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიციისანი არიან? საბოლოო ჯამში ეს არაჯანსაღი ვითარება, რა თქმა უნდა, აზიანებს ქვეყანას, მის ეკონომიკასა და ხალხს.

აგერ უკვე მერამდენე წელია, ვაგეგმავნებთ ამ კოალიციური ეკლექტიკისა და დასავლეთიდან თავსმოხვეული კოჰაბიტაციური მმართველობის მწარე ნაყოფს და გამოსავალი ვერ გვიპოვია. ჩვენ ხელისუფლება ავირჩიეთ იმისთვის, რომ ქვეყანა აეშენებინა და არა იმისთვის, დრო არჩევნებში დამარცხებულ ნაცებთან გაუთავებელ „ომში ეფლანგა. თანაც ეს დამარცხებულები რომ გამარჯვებულად წარმოგვიდგებიან, დღედაღამ ქოცების გინებასა და მათთვის უნიათობის ლაფსხმაში არიან?! ეტყობა, აქვთ კიდეც ამის საბაბი – ქოცებმა ხალხისთვის მიცემულ ზოგ სხვა დაპირებასთან ერთად, უმთავრესი დაპირება ვერ შეასრულეს – ქვეყნად სამართალი ვერ დაამკვიდრეს და ამით რეიტინგი საგრძნობლად დაკარგეს. ან კი რა რეიტინგზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ქვეყანაში სასამართლო სისტემა კოლექტიური მურუსიძე-ბურუსიძეებით გაივსო და სასამართლო თავად გახდა სამართალდასაცავი?

ისმება კითხვა: შეიძლება გამოვძებნოთ ძალა, რომელიც მომავალ არჩევნებში კოალიციურ ხელისუფლებაში შემავალ დაპირისპირებულ შეხედულებათა მქონე პარტიებს გააერთიანებს? რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ცალკეულ ექსპერტთა აზრით, დღეს „ოცნების“ გამაერთიანებელი ძალა სწორედ საკუთარი უსუსურობის განცდა გახლავთ. დიახ, რაც ამ პოლიტიკურ სუბიექტებს კოალიციიდან გასვლის საშუალებას არ აძლევს, არის საკუთარი უსუსურობის განცდა. რა თქმა უნდა, ტირანი სააკაშვილის რეჟიმის წლებში, მის გუნდშიც იყო დაპირისპირებები, მაგრამ იმათი შემაკავშირებელი „ცემენტი“ იყო საერთო დანაშაული. მათ აერთიანებდათ დანაშაულში თანამონაწილეობა, დღევანდელ კოალიციას კი აერთიანებს უსუსურობა.

შეძლებს თუ არა „ქართული ოცნების“ მამამთავარი ბიძინა ივანიშვილი ამ უსუსურობის ხალხისთვის სასურველი პოზიტიური ძალით ჩანაცვლებას, ამას მომავალი არჩევნები გვიჩვენებს.

ოთარ ხუციშვილი

◎ სასამართლო რეფორმები

მზად არიან მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებისთვის?

მოწმეთა დაკითვის ახალი წესის ძალაში შესვლამდე ერთი თვეა დარჩენილი, შესაბამისი კანონი 20 თებერვლიდან უნდა ამოქმედდეს, თუმცა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნინო გვენეტაძის განცხადებით, სასამართლოებში ჯერ კიდევ არ არსებობს მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებისთვის საჭირო პირობები. ამ თემაზე გუშინ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს.

ნინო გვენეტაძის თქმით, სასამართლოების ერთი ნაწილი მზად არის მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებისთვის, ნაწილი კი არც ინფრასტრუქტურით და არც მოსამართლეთა გადამზადების მხრივ არ არის მომზადებული კანონის ამოქმედებისთვის.

„მიმდინარეობს აქტიური და ინტენსიური მუშაობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიასაც კი არ აქვს შესაბამისი სხდომის დარბაზები, მოსამართლეთა სამუშაო ოთახები, ზოგადად ინფრასტრუქტურა, რომელმაც ამ წესთან დაკავშირებით უნდა უზრუნველყოს კანონის წარმატებული ამოქმედება, თუმცა ჩვენ უკვე ყველა ზომა მივიღეთ და ვიმედოვნებთ, რომ 20 თებერვლისთვის არამხოლოდ თბილისის, საქალაქო, საერთო სასამართლოების სისტემით მომზადებულებიც შევხვდებით ამ პროცესს“, – განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის მიხედვით, დანაშაულების გარკვეულ კატეგორიაზე მოწმეებს საგამოძიებო უწყებების ნაცვლად, პირდაპირ სასამართლოში დაკითხავენ. ნინო გვენეტაძის განცხადებით, 20 თებერვლიდან მოწმეთა დაკითხვის წესის ცვლილება შეეხება მხოლოდ მსუბუქი დანაშაულის საქმეებს, ხოლო ცვლილება ყველა კატეგორიის დანაშაულზე, 2018 წლიდან გავრცელდება.

სამართალი, როგორც იქნა, „ნაყრდება?“

სასამართლომ გიორგი პაპუაშვილთან სადავო ქონებაზე საქმე წარმოებაში მიიღო

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან სადავო ქონებასთან დაკავშირებით, მოსარჩელე როლანდ ბლადაძის სარჩელი, უხარვეზოდ მიიღო წარმოებაში. აღნიშნულის შესახებ ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა, ადვოკატმა არჩილ კაიკაციშვილმა „კვირას“ პრესკლუბში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა და სასამართლოს გადაწყვეტილებას, მაღალი საჯარო ინტერესის საქმეზე, კიდევ ერთი გაბედული და დამოუკიდებელი ნაბიჯი უწოდა.

არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში იწყება ისტორიული პროცესი, რაც სამართლიანობის აღდგენის მკაფიო მაგალითია. მოცემული დავის მხარეები არიან: გიორგი პაპუაშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. სწორედ წინა ხელისუფლების მოღვაწეობის დროს, დასახელებული სამინისტროების მოქმედებების შედეგად იქნა მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები. როლანდ ბლადაძეს ქონება არარსებული დანაშაულის ჩადენის მოტივით ჩამოართვეს, სახელმწიფო საკუთრებაში აღრიცხეს, 2007 წლის ივნისში კი, ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად, გიორგი პაპუაშვილს გადაეცა.

არჩილ კაიკაციშვილი წარდგენილი სარჩელით მოითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალური და გიორგი პაპუაშვილი ცნობილი იქნეს არაკეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად და შესაბამისად, ბათილად იქნას ცნობილი 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება.

არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, 90-გვერდიან სარჩელში ყველაფერი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სახელმწიფომ, როგორც საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ასევე იუსტიციის სამინისტროს სახით, ბოროტად გამოიყენა უფლების მართლზომიერების პრინციპი და 2004-2007 წლებში უკანონოდ დაეუფლა კერძო საკუთრებას. სახელმწიფომ 2004 წელს საფუძვლიანად იცოდა, რომ როლანდ ბლადაძისთვის ჩამორთმეული ქონება შეძენილი გახლდათ 1999 წელს, ნატარიულად კი დამოწმდა 2000 წელს. სახელმწიფომ ქონების ჩამორთმევა დაუფუძნა სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს, როგორც უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება ისე, რომ საკითხი ყოველმხრივ არ გამოუკვლევიათ. მეტიც, სახელმწიფო როლანდ ბლადაძეს ედავებოდა თანამდებობის პერიოდში, 2001-2004 წლებში უკანონო შემოსავლებს და ამ გზით ბათუმში, მაშინდელი ერას ქუჩა №37-ში ბინის შეძენას, როდესაც უძრავი ქონება შეძენილ იქნა როლანდ ბლადაძის თანამდებობაზე დანიშვნამდე. ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ ხელყო კერძო მესაკუთრის უფლებები და მოვალეობები, ქონების ჩამორთმევა განხორციელდა არამართლზომიერად, დანაშაული, რომელის ჩადენასაც ედავებოდნენ როლანდ ბლადაძეს, აჭარის ა/რ პროკურატურის 2013 წლის 12 აპრილის დადგენილებით, არ დადასტურდა.

არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, დავის მონაწილე მხარეებს 21 იანვრამდე აქვთ ვადა, რათა საკუთარი დამოუკიდებელი სასარჩელო პოზიციები წარუდგინონ სასამართლოს. სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, თუ რა პოზიციებს აირჩევენ იუსტიციის და ეკონომიკის სამინისტროები, დაეთანხმებიან სარჩელს თუ — არა. არჩილ კაიკაციშვილის თქმით, აპირებს საჯარო გახადოს დავის ყველა მხარის წარმოდგენილი პოზიცია. მისივე თქმით, თუკი სასამართლო ხელისუფლებამ კანონის წინაშე ყველას თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით, შეძლო პრინციპულ დავაზე ობიექტური გადაწყვეტილებები მიეღო, მნიშვნელოვანია, რა პოზიცია ექნება აღმასრულებელი ხელისუფლების ორ სამინისტროს სამართლიანობის აღდგენის პროცესში. არჩილ კაიკაციშვილმა სასამართლო სხდომას დემოკრატიის ტექსტი უწოდა და განაცხადა, რომ სასამართლოს ყველა სხდომას საერთაშორისო და ადგილობრივი მონიტორები დაესწრებიან.

როლანდ ბლადაძის ადვოკატის არჩილ კაიკაციშვილის განცხადების საფუძველზე, 2015 წლის 22 დეკემბრის განჩინების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან სადავო ქონებას ქ. ბათუმში, მდებარე გორგილაძის ქუჩა №37, ბ8, ყადაღა დაედო. არჩილ კაიკაციშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ გიორგი პაპუაშვილმა ყადაღის წარმოშობის გადაწყვეტილება 2016 წლის 4 იანვარს გაასაჩივრა, თუმცა სასამართლომ 11 იანვრის განჩინებით, გიორგი პაპუაშვილის განცხადებას ხარვეზი დაადო, ვინაიდან გიორგი პაპუაშვილმა არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით. ამჟამად, მხარისთვის უცნობია, გადაიხადა თუ არა სახელმწიფო ბაჟი გიორგი პაპუაშვილმა. არჩილ კაიკაციშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც სადაო ქონებას ამჟამად ადევს ყადაღა, საქმე წარმოებაშია მიღებული, არ არსებობს პრეცედენტი, სასამართლომ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებამდე, სადაო ქონებაზე წარმოშობილი ყადაღა გააუქმოს.

მარადიული კითხვა: ვინ ვართ ჩვენ და ვინ არიან ისინი?!

როგორია ამერიკა? მე გიპასუხებთ, „სხვადასხვა“! როგორია „რუსეთი“? სხვადასხვა, ბატონებო და ქალბატონებო, სხვადასხვა! როგორია იაპონია? ოოო, ურთულესი შეკითხვაა! იაპონია „ერთგვაროვანია“! იაპონია „სხვა პლანეტაა“, სრულიად განსხვავებული მორალით, მენტალობით და შეხედულებებით!

ამერიკის შეერთებულ შტატებში 260 მილიონი ადამიანი ცხოვრობს... დაახლოებით! რუსეთში ცხოვრობს 150 მილიონამდე, და ესეც დაახლოებით.

ადამიანების რიცხვი ყოველდღიურად იცვლება ნებისმიერ ქვეყანაში და რამდენჯერაც „დათვლი“, იმდენჯერ აღმოაჩენ ცდომილებას!

ახლა იმათ საყურადღებოდ, ვისთვისაც რუსეთი „ცუდია, ან კარგია“ ...ან ამერიკაა „ცუდი, ან კარგი“! ბევრს „ძალიან ცუდი“ ჰგონია ამერიკა, ან „ძალიან კარგი“... იმის მიუხედავად, რომ ორი წიგნი არ ექნება წაკითხული ამ სამ რადიკალურად განსხვავებულ ქვეყნის ისტორიაზე!

დიახ, ეს სამი ქვეყანა — ამერიკა, რუსეთი და იაპონია, რადიკალურად განსხვავებული „სამი პოლუსია“! შევთანხმდეთ, რომ ცუდი და კარგი ერი, ცუდი და კარგი ქვეყანა არ არსებობს!

რომ გაიგო როგორია ამერიკა, უნდა დაჯდე „ცხენზე“ და ყველა შტატი შემოიარო! იმავეს მოგახსენებთ რუსეთზეც!

ამერიკელობა „რუსობასა“ და „იაპონელობასგან“ განსხვავებით, ეროვნულობას არ ნიშნავს! ამერიკელობა მოქალაქეობაა!

ნამდვილი ამერიკელი ინდიელი „ჩინგაჩგუკია“, რომელსაც ეკრანის გმირის საშუალებით ვიცნობთ!

ნამდვილი ამერიკელები, როგორც ეროვნება, ინდიელები გახლავთ, ისინი დაუპატიჟებელმა ინგლისელმა, ესპანელმა, პორტუგალიელმა კოლონიზატორებმა ამოხოცეს, გენოციდი მოუწყვეს და „ბოცვრებივით“ გაჟლიტეს!

რუსს შეუძლია თქვას — მე, ეროვნებით რუსი ვარო! იაპონელიც იმავეს იტყვის! ამერიკელი, მიუხედავად ამერიკისადმი „ფანატიკურად განწყობილი პატრიოტიზმისა“, ვერ გეტყვით, რომ ის „ეროვნებით ამერიკელია“!

ამერიკელი ნებისმიერი „ვინმე“ შეიძლება იყოს: ბრიტანელი, ჩინელი, ქურთი, სომეხი, რუსი, ჰოლანდიელი, ქართველი...

ვინ ცხოვრობს კარგად ამერიკის შეერთებულ შტატებში? ვინც იქ დაიბადა და გაიზარდა!

კი, ამერიკული მენტალიტეტი, ზოგადად, რა თქმა უნდა, არსებობს და არსებობს რეალურად!

და კიდევ, მთავარი: არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში მოქალაქის ინტერესები და სახელმწიფოს პოლიტიკა!

ზოგი სახელმწიფოს პოლიტიკით განსაზღვრავს ამა თუ იმ ერის ავკარგიანობას! ჩემთვის პუტინი და რუსეთის დუმა არ არის რუსების ან „რუსობის“ შეფასების კრიტერიუმი! „არ არსებობს კარგი და ცუდი ერი! არსებობენ, კარგი და ცუდი ადამიანები და ესეც, ანუ კარგი და ცუდი, შედარებითი ცნებებია“!

იმავეს გეტყვით ამერიკელებზეც! არის ამერიკის საზოგადოება და არის ამერიკის სახელმწიფო პოლიტიკა!

ძალიან ძნელია ამ „ლაბირინთებში“ გარკვევა და „გზის გაგნება“, რადგანაც ოფიციალური ამერიკის, რუსეთისა და იაპონიის გარდა, არსებობს არაოფიციალური ამერიკა, რუსეთი და იაპონია, თუნდაც სასტიკი იაპონური მაფია „იაკუძა“!

ოფიციალური მმართველობითი სტრუქტურების პარალელური „სტრუქტურებია“ მილიონერები, მილიარდერები, ებრაელთა მსოფლიო კლანი, რომელთა „ტვინსა და ჯიბეებზე დგას“, ფაქტობრივად, რუსეთიც და ამერიკის შეერთებული შტატები!

ნურც სომხებს „გამოვტოვებთ“! „სომხის სტერეოტიპი“ ქართულ ცნობიერებაში მოიაზრება — „ჟეშტიანშიკი, ან მატარისტი რობერტა დიღმის პროფილაქტიკიდან“, ხოლო ებრაული სტერეოტიპი „სასაცილო დაგენაცვლეა“ სოფელ კულაშიდან! უაღრესად მცდარი, მეტად მცდარი სტერეოტიპია!

ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი ლეგენდა არსებობს „თუ სომხებს და ებრაელებს არ უნდათ, ამერიკის პრეზიდენტს ვერ აირჩევენო“ ...და იცით, არის ამ ლეგენდაში „რაციონალურობის მარცვალი“ — მსოფლიოში ყველაზე ძლიერ სათვისტომოებად სომხური და ებრაული სათვისტომოები ითვლებიან!

და ბოლოს: ვინ ვართ ჩვენ, ქართველები?

რა თქმა უნდა, ერი ვართ! რა თქმა უნდა, უდიდესი ისტორიისა და კულტურული წარსულის მქონე ერი ვართ! რა თქმა უნდა, ქართული ანბანი უნიკალური და თვითმყოფადია, ერთადერთი და განუმეორებელია!

აბა, ახლა რუსებს ჰკითხეთ! ქართველის სტერეოტიპი? (ზოგადად) ეს არის „ცოცხის ულვაშებიანი“ მკაცრი ჯეელი, რუსულად საშინელი აქცენტით მოლაპარაკე, გაუპარსავი სიფათით და „აეროდრომი ქუდით“, რომელიც რუსეთის ქალაქების ბაზრებში მიხაკებით და მანდარინით ვაჭრობს. ამავე დროს, მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ გამოცალოს ყანწი ბოლომდე და „ბევრი ბლანდინკა ნატაშა იყოლიოს“!

ამერიკელებმა და ევროპელებმა საერთოდ არ იცოდნენ, ვინ იყვნენ ქართველები და ხშირად „ქართული ჯორჯია“ ამერიკული ჯორჯიას შტატში ეშლებოდათ, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოდან ჩამოყალიბდა ქართველის ზოგადი სტერეოტიპი — „ეთნოსი, რომელიც იმიტომ გაჩნდა, რომ ამერიკელ და ევროპელ დავრდომილ მოხუცებს მოუაროს, ან შეგნებულად ჩაიდინონ წვრილმანი დანაშაული, რათა ევროპის კომფორტულ ციხეებში მუქთად იცხოვრონ!“

ხომ ვერ წარმოგიდგენთ ნორვეგიელს, ან შვედს, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა იმიტომ, რომ „გლდანის ციხეში“ ჩაჯდეს? აი იაპონელები კი... ოხ ეს იაპონელები! იცით თუ არა, რომ აი იმ ტრაგედიის დროს, როცა მიწისძვრა და ცუნამი დაატყდა თავს იაპონიას, უპატრონოდ მიტოვებული ბანკებიდან, მდიდრული სახლებიდან, მაღაზიებიდან არც ერთი ნივთი და კუპიურა არ დაკარგულა, მაშინ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლოს ანჯელესის დატბორვის დროს მოროდიორებმა წალეკეს მთელი შტატი!

ბოლოს კვლავ გავიმეორებ: ცუდი და კარგი ერი არ არსებობს, არიან ცუდი და კარგი ადამიანები... თანაც ეს განსაზღვრება „შედარებითია“!

იცით, რა არის მთავარი?

მთავარია, საკუთარი თავიდან დავიწყოთ! მთავარია, შენ ვინ ხარ, საიდან მოდიხარ, რა გინდა, და როცა ღამით, საკუთარ საწოლში საბანში გამოხვეული, მარტო რჩები საკუთარ თავთან და სინდისთან, რას

გკარნახობს „ინტუიცია“ — კარგი ადამიანი ხარ თუ „ცუდი“? „შერეკილი“ დიოგენე, რომელსაც დიდძალი ძონება ჰძონდა, ძალაძის გარეუბანში კასრში ცხოვრობდა. თანაც ეს „შერეკილი“ ფილოსოფოსი დღისით, მზისით ფარნით დადიოდა — ადამიანს დავეძებო!

თამაზ ჭეიშვილი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სააკაშვილი პოროშენკოს გარდა ყველას ამათრახებს!

ანტიკორუფციული ფორუმი „მოძრაობა განწმენდისთვის“

18 იანვარს ოდესის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის მიერ ორგანიზებული „მოძრაობა განწმენდისთვის“ გამართავს ანტიკორუფციულ ფორუმს ხარკოვში. დეკემბერში ასეთი აქციები გაიმართა ოდესასა და კიევში. სააკაშვილი მკაცრად აკრიტიკებს უკრაინის ხელისუფლებას, გარდა პირადად პრეზიდენტ პიოტრ პოროშენკოსი.

კიევში უკვე დავობენ იმის შესახებ, თუ რა მიზნებს ისახავს სააკაშვილი. მან ადრე განაცხადა, რომ არ აპირებს შექმნას ახალი პარტია და არ უმიზნებს პრემიერ-მინისტრობას. არჩევნებში მონაწილეობა მას არ შეუძლია, ვინაიდან, კანონმდებლობით არ უცხოვრია უკრაინაში არანაკლებ 5 წლისა, რათა პრეტენზია ჰქონდეს დეპუტატის მანდატზე. მით უმეტეს, არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში, რომელიც მოითხოვს ბინადრობის ორჯერ მეტ ცენზს. მაგრამ უკრაინის მოქალაქეობა, რომელიც ოდესის ოლქის გუბერნატორმა მიიღო, საკმარისია იმისთვის, რომ საპარლამენტო კოალიციამ აირჩიოს სააკაშვილი მთავრობის მეთაურად. თუმცა ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რომ ეს შესაძლებელია, ვინაიდან ყოველი საპარლამენტო ფრაქციის უკან დგას პარტია, რომელსაც აქვთ თავისი კანდიდატების სია საკვანძო პოსტებზე.

სააკაშვილმა დღემდე ვერ შეძლო, დაყრდნობოდა რომელიმე პოლიტიკურ ძალას. ამ დროს მისმა ორატორულმა ნიჭმა, რომელიც იზიდავს სატელევიზიო აუდიტორიას, შემოდგომით გაიყვანა სააკაშვილი პირველი ადგილზე უკრაინის პოლიტიკოსებს შორის მოსახლეობის ნდობის დონით. ოდესაში ანტიკორუფციული ფორუმის განხორციელება, სადაც გაჟღერდა ხმამაღალი ბრალდებები ოლიგარქების, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მისამართით, საშუალება მისცა გუბერნატორს, შეეძინა მომხრეები. კიევში საახალწლო დღესასწაულის წინ გამართულ ფორუმს რამდენიმე ათასი კაცი ესწრებოდა. იქ გამოცხადდა „მოძრაობა განწმენდისათვის“ შექმნის შესახებ. მხედველობაში იყო ხელისუფლების განთავისუფლება კორუფციონერებისაგან, და ქვეყნისა – ძველი კორუფციული სქემებისაგან. სააკაშვილმა მაშინ განაცხადა, რომ შეუძლია გაიმეოროს უკრაინაში თავისი წარმატებული რეფორმების გამოცდილება, საქართველოში რომ განახორციელა. ამისთვის, მისი სიტყვებით, საკმარისი არაა ადამიანების შეცვლა სახელისუფლო პირამიდის თავზე: „ჩვენ გვჭირდება რადიკალური ცვლილებები ხელისუფლების სისტემაში“. დეკემბრის ბოლოს გუბერნატორმა პირველად განუმარტა ჟურნალისტებს, რომ არ აპირებს შექმნას თავისი პარტიისა, ვინაიდან საზოგადოებრივი მოძრაობა საშუალებას აძლევს მას შეკრას გაცილებით ბევრი ხალხი მათი პარტიული კუთვნილებისაგან დამოუკიდებლად.

გუნდში შევიდნენ არა მარტო ქართველი რეფორმატორები, არამედ ბევრი ავტორიტეტული უკრაინელი პოლიტიკოსი, და ანტიკორუფციული გამოკვლევებით სახელგანთქმული ჟურნალისტები. კიევში ანტიკორუფციულ ფორუმზე გამოვიდნენ უმაღლესი რადის დეპუტატები სერგეი ლეშჩენკო, მუსტაფა ნაიემი, დმიტრი დობროდომოვი, სვეტლანა ზალიშჩუკი, უკრაინის უშიშროების საბჭოს ექს-ხელმძღვანელი ვალენტინ ნალივაიჩენკო, მომღერალი რუსლანა ბევრი ცნობილი საზოგადოებრივი აქტივისტი.

იანვარში გასაგები გახდა, რომ სააკაშვილი ქმნის პოლიტიკურ პროექტს, რომლის მსგავსიც უკრაინაში არ ყოფილა. იგი აყალიბებს თავისთვის საყრდენს არა ზევიდან, არამედ ქვემოდან.

სიტუაცია ასეთია, რომ გასული კვირის ბოლოს გამომცემლობა „ლევი ბერეგის“ ჟურნალისტი სონია კოშკინა შეეკითხა პიოტრ პოროშენკოს პრესკონფერენციის მსვლელობის შესახებ, მიაჩნია განა სახელმწიფოს მეთაურს, რომ მის მიერ დაწინაურებული ქართველი კაცი გადაიქცეს პრეზიდენტის კონკურენტად. პოროშენკო შეეცადა, უარი ეთქვა პასუხზე ხუმრობით იმის შესახებ, რომ არ მიიჩნევს სააკაშვილს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის საფრთხედ. შემდეგ შეცვალა ტონი და შეგვახსენა, რომ სწავლობდა სააკაშვილთან ერთად უნივერსიტეტში და რომ ისინი ერთმანეთს იცნობენ უკვე 30 წელიწადია. პოროშენკომ დაარწმუნა შეკრებილები, რომ ერთი წუთითაც არ წუხს, იმის შესახებ, რომ მიიწვია სააკაშვილი უკრაინაში, ვინაიდან ქართველი რეფორმატორი დაეხმარა მას, „ამოეთხარა კორუფციის ჭაობი“, ეს კი არის გზა რეფორმებისკენ.

როდესაც პასუხს ამთავრებდა, პოროშენკომ თქვა, რომ არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ, მოახდინონ სიტუაციის დესტაბილიზაცია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ამის საშუალებას არ შექმნის. ფრაზა ორაზროვნად გაისმა. ან სახელმწიფოს მეთაურს მხედველობაში ჰქონდა ძალები, რომლებიც იცავენ ძველ სქემებს, რომლის წინააღმდეგაც გამოვიდა სააკაშვილი. ანდა თავის სიტყვების მისამართად მიიჩნია ოდესის გუბერნატორი, რომელიც არ მალავს განზრახვას – მოახდინოს იმ ძველი უკრაინული სქემების დესტაბილიზაცია, რომელიც ემყარება ნათლიმამობას, ძველ ნაცნობობასა და ურთიერთმფარველობას.

ფორუმის შემდეგ კიევში უკრაინის თავდაცვის ექს-მინისტრმა, პარტია „სამოქალაქო პოზიციის “ ლიდერმა ანატოლი გრიცენკომ გამომცემლობა „გორდონისთვის“ მიცემულ კომენტარებში აღნიშნა, რომ სააკაშვილის ანტიკორუფციული მოძრაობა შეიძლება გადაიქცეს ახალი მაიდნის წინაპირობად.

ხარკოვის ფორუმის წინა დღით ერთ-ერთმა მისმა ორგანიზატორმა, კახა ბენდუქიძის სახელობის თავისუფალი ეკონომიკის ცენტრის დამფუძნებელმა ვლადიმირ ფედორინმა „ახალი დროისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: „ჩვენ გვინდა, რომ ამ ხმამაღალმა კოალიციამ მოგვაწვდინოს საკმარისად ძლიერად თავისი ხმა, ჩამოაყალიბოს მოთხოვნები ხელისუფლების მიმართ“. ამ დროს მან არ გამორიცხა, რომ მოძრაობა გარდაიზრდება პარტიაში, ვინაიდან არის მოთხოვნა ახალ პოლიტიკურ ძალაზე.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

ბუნტის თავი ისევ მიუსაა!

უკრაინელი „გუბერნატორები“ საქმის კეთების ნაცვლად დღედაღამ ჩხუბობენ!..

დონეცკის გუბერნატორი პავლე ჟებრივსკი, ოდესის ოლქის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის მისამართით სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს.

გუბერნატორი სააკაშვილს „პიარშიკს“ უწოდებს და აცხადებს, რომ სააკაშვილი უბრალო პოპულისტია.

„არ შემიძლია უკვე ამ სულელურ პიარზე გაჩუმება. ორი დღის წინათ დონეცკში „პიარშიკი“ სააკაშვილი იყო ჩამოსული და განაცხადა, რომ ოდესის ბატალიონს არა აქვს სათანადოდ მოწყობილი ტუალეტები და დიდის ამბით შეპირდა მათ, რომ ამ ყველაფერს მოაგვარებდა. მინდა, გითხრათ, რომ ოდესის გუბერნიის ხელმძღვანელობა ყოველთვის გულშემატკივრობდა თავის ბატალიონს, მაგრამ ამით პიარს არ იკეთებდნენ.

დონეცკის ოლქს ბევრი პრობლემა აქვს და ჩვენ ყველასი მადლობელი ვართ, ვინც გულგრილი არ არის ჩვენი პრობლემების მიმართ.

ბატონო სააკაშვილო, ოდესის პრობლემებს მიხედეთ, მგონი, დიდი ხანია ოდესაში არც კი ყოფილხართ. არჩევნები ჩვენთან ჯერ არ დაწყებულა. პოპულიზმს უკრაინისთვის კარგი არაფერი მოუტანია“, – წერს დონეცკის გუბერნატორი სოციალურ ქსელში.

* * *

ДОНЕЦКИС გუბერნატორის პაველ ჟებრივსკის კრიტიკას მიხეილ სააკაშვილი პასუხობს.

„ჩემს კრიტიკაზე, რომელიც ოდესის ბატალიონის საცხოვრებელ პირობებს ეხებოდა, გუბერნატორმა განაცხადა, რომ სამუშაო ჯგუფია შექმნილი და ყველაფერი რიგზეა. ისეთივე სამუშაო ჯგუფი აქვს ალბათ შექმნილი, როგორც მაშინ, მთავარი პროკურორის მოადგილე რომ იყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. ამ ქვეყანაში ასეთი გუბერნატორების არსებობა პირდაპირი მაჩვენებელია, თუ რა ხდება საკადრო პოლიტიკაში.

არ დაგავიწყდეთ, ეს ადამიანი ყველაზე მსხვილი ოლიგარქია ფარმაცევტულ ბიზნესში და სწორედ მისი დამსახურებაა, ასეთი ძვირი რომ ღირს წამლები. ამ ქვეყანაში წესრიგი რომ იყოს, დონეცკის ოლიგარქი გუბერნატორი დიდი ხანია, მოსახსნელია“, – წერს სააკაშვილი თავის სოციალურ ქსელში.

დედამიწის ზურგზე



ჰილარი კლინტონმა წინასაარჩევნო დებატებში პუტინს „ხულიგანი“ უწოდა

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ურთიერთობას ვლადიმერ პუტინთან უწოდებს მკაცრს, მაგრამ აგებულს პატივისცემაზე. ჰილარი კლინტონმა ასევე გამოთქვა აზრი რუსეთთან ურთიერთობათა გადატვირთვის განმეორების შესახებ.

ილონ მასკმა რაკეტა FALCON 9-ის დედამიწაზე დაშვებისა და აფეთქების ვიდეო გამოაქვეყნა

კერძო კორპორაცია „SpaceX “-ის რაკეტმზიდმა წარმატებით გაიყვანა ორბიტაზე ნასას ამინდის თანამგზავრი, მაგრამ გუნდმა ამჯერადაც ვერ შეძლო წარმატებით დაეშვა რაკეტის პირველი საფეხური მცურავ პლატფორმაზე. ვიდეოჩანაწერზე მოსჩანს თუ Falcon; როგორ ეშვება დედამიწაზე, მაგრამ ერთ-ერთი საფეხურის ბლოკირების უარის გამო ვარდება და ფეთქდება.

ჩეხეთის პრეზიდენტმა „ტექნიკურად შეუძლებელი“ უწოდა ლტოლვილი მუსლიმანების ინტეგრაციას ევროპულ საზოგადოებაში

როდესაც განმარტავდა თავის სიტყვებს, მილოშ ზემანმა მიუთითა დასავლეთი ევროპის ქვეყნების გამოცდილებაზე, რომლებშიც არსებობს გეტო და მიგრანტების ცხოვრების განყენებული რაიონები. მან ასევე აღნიშნა, რომ „ინტეგრაცია შესაძლებელია მხოლოდ კულტურათა მსგავსების შემთხვევაში“ და მოიყვანა მაგალითები.

ამერიკელ ზოოდამცველებს თურქეთში მიპყავთ აშშ-ში მიტოვებული ოქროსფერი რეტრივერები

ადრე თურქეთში ძაღლების ეს ჯიში ითვლებოდა მაღალი სტატუსის სიმბოლოდ, მაგრამ მოგვიანებით ბევრი მოზრდილი ცხოველი ქუჩაში აღმოჩნდა. ამერიკელი აქტივისტები აგროვებენ საშუალებებს და მიჰყავთ ძაღლები ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მათთვის არჩევენ ახალ სახლს. თურქეთიდან ერთი ცხოველის ევაკუაცია 2000 დოლარი ჯდება.

ირანში 3 ამერიკელი დაიკარგა უგზო-უკვლოდ, არ არის გამორიცხული, რომ ისინი გაიტაცეს

ამერიკის ხელისუფლება თავის 3 მოქალაქეს ჯერჯერობით უგზო-უკვლოდ დაკარგულებს უწოდებენ, მაგრამ ირანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაბეჯითებით აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეები იყვნენ გატაცებული. ამჟამად სახელმწიფო დეპარტამენტი ირანთან ერთად ღებულობს ზომებს ამ ადამიანების განთავისუფლებისათვის.

დადგა დღე, რომელსაც ბრიტანელმა მეცნიერებმა ნელინადში ყველაზე დეპრესიული უწოდეს

უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში მარტივი ხერხების ნაკრებმა, რომელიც საშუალებას იძლევა, გადავიტანოთ ყველაზე დეპრესიული დღე წელიწადში, ვერ განიცადა არსებითი ცვლილებები. ყველაზე დიდი საიდუმლო გახსნა ჯერ კიდევ შექსპირმა დანიელი პრინცის სიტყვებით: „არაფერია არც კარგი, არც ცუდი, ამას ყოველივეს ფიქრები ქმნიან ასეთებად“.

ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ 220კვ. ეგხ „სათაფლიას“ პროექტირება-გაორჯაჭვიანების პროექტი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იწყებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის (გზშ-ს) საჯარო განხილვას.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2016 წლის 9 მარტს თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში 14:00 სთ-ზე. მისამართზე: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს 220კვ. ეგხ „სათაფლიას“ პროექტირება-გაორჯაჭვიანების პროექტი, რომლის მეშვეობითაც მოხდება ქვესადგურ „წყალტუბო 220“-სა და ქვესადგურ „ქუთაისი 220“-ს შორის კავშირი.

განსახილველი გზშ-ს ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთათვის ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ – მისამართი: ქ.თბილისი, ბარათაშვილის №2, III სართული, ოთახი №304 (ამობეჭდილი ვერსია), ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებ-გვერდზე www.gse.com.ge
- ქ. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა – მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 45 დღისა. წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, III სართული, ოთახი №304, ტელ. 2 510 264, საკონტაქტო პირი: ზეზვა ხვედელიძე, ელ. ფოსტა: zezva.khvedelidze@gse.com.ge

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჰუსეინ იაგვალიევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ჰუსეინ იაგვალიევი (პ/ნ 28001044491), მარნეული, სოფელი ალგეთი.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
მარნეულის რაიონი, სოფელი ალგეთი (საკადასტრო კოდი: 83.03.06.520).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 16830.55 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 19 იანვარი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 29 იანვარი, 12:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP27107716;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 271077

6. **მოვალე:** რაფიგ მამედოვი (პ/ნ 28001013441), მარნეული, სოფელი ალგეთი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინაადმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP27107716; ლოტის ნომერი: 271077).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 28 იანვარს, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ ამერ-იმერი

მუნიციპალიტეტისა და კერძო სექტორის თანამშრომლობის კარგი მაგალითი

თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა კარლო ლაფერაძემ შპს „ლოჯიკ გრუპის“ მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში სპორტის სასახლესა და მის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე განხორციელებული საინვესტიციო სამუშაოები დაათვალიერა. პროექტის ფარგლებში გუშინ გაიხსნა სპორტის სასახლისა და მეტროსადგურ „ტექნიკური უნივერსიტეტის“ მიმდებარედ არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი, რომლის რეაბილიტაციაც ორი თვის წინ დაიწყო.

მერიის ინფორმაციით, „სპორტის სასახლის“ 100%-იანი წილი 30 წლის ვადით – საინვესტიციო ვალდებულებით შპს „ლოჯიკ გრუპს“ 2007 წელს გადაეცა.

„შპს „ლოჯიკ გრუპთან“ გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა შენობის მიმდებარედ საზოგადოებრივი სივრცის მოწყობას. ასევე ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული სპორტის სასახლის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. გასულ წელს თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ლოჯიკ გრუპს“ შორის შედგა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც შესაბამისი სამუშაოები გასულ წელსვე დაიწყო.

მერიის ქონების მართვის სააგენტოს უფროსის კარლო ლაფერაძის განცხადებით: ეს არის ძალიან კარგი მაგალითი მუნიციპალიტეტის და კერძო სექტორის თანამშრომლობის. კერძო სექტორმა, რომელსაც მმართველობაში აქვს აღებული მუნიციპალური ქონება, მოაწყო საზოგადოებრივი სივრცე. ასევე ჩვენი ინიციატივით მოხდა სპორტის სასახლის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. ცენტრალურ შესასვლელში დამონტაჟდა პანდუსი, დარბაზში მოეწყო აივანი ეტლით მოსარგებლე მაყურებლებისთვის, გაკეთდა ორი ადაპტირებული სველი წერტილი, უკანა შესასვლელში ეტლით მოსარგებლე პირებისთვის დამონტაჟდა ჰიდრავლიკური ამწე (პლატფორმა). ეს არის კარგი დასაწყისი და მაგალითი სხვა ადმინისტრაციული თუ მართვაში მყოფი შენობების რეაბილიტაციის.“

შპს „ლოჯიკ გრუპს“ ამ დროისთვის განხორციელებული აქვს სამი მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია. ხელშეკრულების თანახმად შპს „ლოჯიკ გრუპმა“ სულ ჯამში უნდა განახორციელოს ხუთი მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია.

◎ კრიმინალი

ბიძინა კუჭავას ცხედარს ექსპერტიზას მაია ნიკოლეიშვილი ჩაუტარებს

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო სამხარეო პროკურორის მკვლელობაში ბრალდებულის, გარდაცვლილ ბიძინა კუჭავას ოჯახს გამოძიებასთან კითხვები აქვს. კუჭავას ოჯახის წევრის გიორგი ჯიქიას თქმით, ცხედარს დაზიანებები აქვს, რის გამოც პროცესში კერძო ექსპერტის ჩართვას ითხოვენ.

ბიძინა კუჭავას სხეულზე აქვს ჭრილობები, კონკრეტულად რა ჭრილობებია, უკვე დამოუკიდებელი ექსპერტი თვითონ შეხედავს და საკუთარ პოზიციას იტყვის. ჩვენი ვერსიით, თვითმკვლელობა გამორიცხულია. ქირიას მკვლელობაც არაა მართალი. კერძო ექსპერტიზის შემდეგ გამოძიება უკვე სხვა კუთხით წავა“, – განაცხადა გიორგი ჯიქიამ.

დაკავებულია ყაჩაღთა ბანდა

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის და იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის, განზრახ მკვლელობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით 6 პირი: 1971 წელს დაბადებული, წარსულში განზრახ მკვლელობისთვის ნასამართლევი თემურ ბ., 1974 წელს დაბადებული, წარსულში სამჯერ ნასამართლევი ნოდარ ა., 1971 წელს დაბადებული, წარსულში განზრახ მკვლელობისთვის ნასამართლევი კობა შ., 1980 წელს დაბადებული ივანე გ., 1978 წელს დაბადებული ქეთევან ხ. და 1986 წელს დაბადებული დარიკო შ. ახალციხის რაიონის სოფელ ტყემლანაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2016 წლის 10 იანვარს კობა შ. დანაშაულის მომზადებისა და დაგეგმვის მიზნით დაუკავშირდა ნოდარ ა-ს, თემურ ბ-ს და ივანე გ-ს. ისინი შეიკრიბნენ ქეთევან ხ-ს საცხოვრებელ სახლში, სადაც დაგეგმეს ნინოწმინდაში, ფულის გატაცების მიზნით, ბაგრატ ს-ზე ყაჩაღურად თავდასხმა.

13 იანვარს ბრალდებულები ბაგრატ ს-ს საცხოვრებელ სახლში მივიდნენ, მის მეუღლეს მოტყუებით გააღებინეს კარი, ძალადობითა და ძალადობის მუქარით ემა ს-ს და მის დედამთილს, სონიკ ს-ს ფული და ძვირფასეულობა მოსთხოვეს. სონიკ ს-მ ბრალდებულებს წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც თემურ ბ-მ მას დანით ყელის არეში მრავლობითი ჭრილობა მიაყენა. 1936 წელს დაბადებული სონიკ ს. მიყენებული ჭრილობების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ბრალდებულები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მათ ტანსაცმელი და დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა მიმალვისას, საავტომობილო გზაზე გადაყარეს.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის, განზრახ მკვლელობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე მიმდინარეობს.

მკვლელს 11 წლით პატიმრობა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გურამ მჭედლიძე დამნაშავედ ცნო გაგიკ აიდიანის განზრახ მკვლელობაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით. მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, მოსამართლემ გურამ მჭედლიძეს სასჯელის სახედ და ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა,რომ 2015 წლის 2 მაისს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი გურამ მჭედლიძე ტელეფონით დაუკავშირდა გაგიკ აიდიანს და ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილზე არსებულ ორსვეის ხიდების მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვედრა მოსთხოვა. შეხვედრაზე მჭედლიძეს გ. აიდიანთან იმ მოტივით, რომ ამ უკანასკნელმა საერთო მეგობრებთან იგი ცუდად მოიხსენია ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა, რაც ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს მჭედლიძემ დანა ამოიღო, გაეკიდა გაგიკ აიდიანს და შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, მიაყენა სამი ჭრილობა მათ შორის ერთი გულმკერდის არეში. შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გაგიკ აიდიანი მიღებული ჭრილობების შედეგად სავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

გურამ მჭედლიძე იმავე დღეს ქ.თბილისში, ფიროსმანის ქუჩაზე ბრალდებულის სახით იქნა დაკავებული. ჩატარებული პირადი ჩხრეკისას მას აღმოაჩნდა დანაშაულის ჩადენის იარაღი დანა. აღსანიშნავია, რომ გურამ მჭედლიძე წარსულში არაერთხელაა ნასამართლევი ყაჩაღობისთვის, ძარცვისთვის, საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისთვის და ცემისთვის. პროკურატურა არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას და განაჩენს სააპელაციო წესით გაასაჩივრებს.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

◎ კალათბურთი

ქორქია-საკანდელიძის მემორიალის გამარჯვებული „ქუთაისი“ გახდა

ლეგენდარული კალათბურთელების, ოლიმპიური ჩემპიონების მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალის გამარჯვებული „ქუთაისი“ გახდა.

ქუთაისის სპორტის სასახლეში გამართულ ფინალურ შეხვედრაში მასპინძლებმა „სოხუმი“ ანგარიშით 86:57 დაამარცხეს.

ტურნირი 2006 წლიდან თბილისში ეწყობა, გასულ წელს კი გათამაშების ფინალურმა მატჩმა ქუთაისში გადაინაცვლა. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ ქორქიასა და საკანდელიძის მემორიალს მომავალი წლიდან სახელოვანი კალათბურთელების მშობლიური ქალაქი მიიღებდა.

წელს ტურნირში 8 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. კოტე ტულუშის გუნდმა ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე „რუსთავი“ (71:68), „მგზავრები“ (82:67) და „აკადემია“ (92:80) დაამარცხა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ბასილაშვილი ფედერერთან დამარცხდა

ნიკოლოზ ბასილაშვილმა ლეგენდარულ შვეიცარიელთან კარიერაში პირველად ითამაშა.

ქართველი ჩოგბურთელი ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში როჯერ ფედერერს დაუპირისპირდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მარცხი განიცადა. მე-3 ნომრად განთესილი შვეიცარიელის უპირატესობა აშკარა გახლდათ და მან ქართველს 6:2, 6:1, 6:2 სძლია. სამსეტიანმა მატჩმა მხოლოდ საათსა და 15 წუთს გასტანა.

კოგა კოგახიძე

◎ წყალბურთი

... და დამარცხებებს არ უჩანს ბოლო

სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. დამთავრდა ჯგუფური ეტაპი და პლეი-ოფის პირველი წრის ორთაბრძოლები. C ჯგუფის ბოლო ტურში საქართველოს ნაკრებმა იტალიასთან დიდი სხვაობით წააგო.

საქართველო-იტალია 1:21 (1:5, 0:6, 0:6, 0:4)

საქართველო: **ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია, მარკო ელეზი, ანდრია ბითაძე, მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია (1), ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ხვიჩა ჯახაია, რევაზ იმნაიშვილი, ივან სტრუიჩი.**

იტალია: **სტეფანო ტემპესტი, ფრანჩესკო დი ფულვიო (4), ნიკოლო გიტო (3), პიეტრო ფილიოლი (3), ალექს ჯორჯეტი (3), მიკელე ბოდეგასი (1), მასიმო ჯაკოპო (1), ვალენტინე გალო, კრისტიან პრესკიუტი (1), სტეფანო ლუნგო (3), ჯორჯო აიკარდი (2), ფაბიო ბარალდი, მარკო დელ ლუნგო.**

2014 წელს ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატზე ჩვენებმა ჯგუფში იტალიელებთან 5:16 დათმეს მატჩი. გრანდთან ბელგრადშიც რომ დავმარცხდებოდით, ცხადი იყო, მაგრამ თუ ასეთი სასტიკი ანგარიშით, ნამდვილად არ გვეგონა. ქართველებმა მთელი თამაშის განმავლობაში კარის მიმართულებით 20-ჯერ ტყორცნეს ბურთი და მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს მიზანს, იტალიელებმა კი 33 ტყორცნიდან 21-ჯერ აიღეს შუბლაიძის კარი.

პლეი ოფის პირველ მატჩში ჩვენები D ჯგუფის გამარჯვებულ უნგრელებთან არკვევდნენ ურთიერთობას. მადიარებმა ოლიმპიურ თამაშებზე ცხარჯერ გაიმარჯვეს, სამ-სამჯერ მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს, მსოფლიოს ჩემპიონატებზე 3 ოქროს, 6 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი აქვთ მოპოვებული. ევროპის ჩემპიონატებზე 12-ჯერ ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, აგრეთვე 6 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალს დასჯერდნენ.

საქართველო-უნგრეთი 3:14 (1:4, 1:4, 1:3, 0:3)

საქართველო: **ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია (1), მარკო ელეზი, ანდრია ბითაძე, მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა (2), კონსტანტინე გეგელაშვილი, ხვიჩა ჯახაია, რევაზ იმნაიშვილი, ივან სტრუიჩი.**

უნგრეთი: **ვიქტორ ნეგი, ფერენც მიკლოშ გორ ნეგი, ბენშ ბატორი (1), ბალაშ ერდელი (1), მარტონ ვამოსი (2), ნორბერტ ჰოსნიანსკი (2), ადამ იოჟეფ დეკერი (1), პეტერ მანჰერზი (2), რუდოლფ ვარგა (1), ანდორ ვარგა (3), გაბორ კიში (1), ბალაშ ჰარაი, დავიდ ბისტრიშანი.**

უნგრელებმა, როგორც ფავორიტებმა, აშკარად აჯობეს ქართველ წყალბურთელებს და ძალების დაუძაბავად გაიმარჯვეს. ისინი მედლებისთვის ბრძოლას განაგრძობენ, ჩვენი გუნდი კი ხორვატეთთან დამარცხებულ (9:16) ჰოლანდიასთან დღეს გაარკვევს ურთიერთობას IX-XVI ადგილებისთვის.

ლაშა დიდია

8 საგზურის 19 მაძიებელი

19-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობის ფინალური ეტაპი წლეულს 11-18 სექტემბერს ჰოლანდიაში გაიმართება. გადამწყვეტი რაუნდის რვა საგზურისთვის 19 ქვეყნის წარმომადგენლები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ისინი წილისყრით ოთხ ჯგუფში გადანაწილეს. C ჯგუფს 4-9 მაისს თბილისი უმასპინძლებს და ორ-ორი საუკეთესო ფინალში ითამაშებს.

A ჯგუფი (მასპინძელია მალტა): გერმანია, უკრაინა, მალტა, ბულგარეთი, სლოვენია.

B ჯგუფი (თურქეთი): ჩერნოგორია, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, ბელგია.

C ჯგუფი (თბილისი): საფრანგეთი, სლოვაკეთი, საქართველო, ბელარუსი, ფინეთი.

D ჯგუფი (აზერბაიჯანი): რუმინეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, შვეიცარია.

თამაზ პატარაია

◎ ჭადრაკი

მონაწილეთა რაოდენობა განახევრდა

14 ვაჟი და 2 ქალბატონი ჩაება ვაჟთა საქართველოს 75-ე ჩემპიონატში, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო. შეჯიბრება ნოკაუტ-სისტემით ტარდება და თითოეულ ეტაპზე მონაწილეები ორ-ორ კლასიკურ პარტიას ითამაშებენ. საჭირო თუ გახდა, დაინიშნება ტაი-ბრეიკები.

პირველ რაუნდში განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ნანა ძაგნიძისა და დავით მაღალაშვილის შეხვედრა. მეტოქეებმა თითო კლასიკური პარტია მოიგეს. რაპიდში (თითოეულ პარტიაზე 15-15 წუთი ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) ძაგნიძემ ერთი ხელი მოიგო, მეორე ზავით დაასრულა და მეოთხედფინალში გავიდა. მერვედფინალის დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დასრულდა: მიხეილ მჭედლიშვილი — ბაჩანა მორჩიაშვილი 1.5:0.5, ნოე თუთისანი — ლევან ფანცულაია 0.5:1.5, დავით ჯოჯუა — გიორგი სიბაშვილი 1.5:0.5, ირაკლი ბერაძე — ლუკა პაიჭაძე 0.5:1.5, მერაბ გაგუნაშვილი — გიგა ყუფარაძე 1.5:0.5, დავით მაღალაშვილი — ლელა ჯავახიშვილი 0.5:1.5, თორნიკე სანიკიძე — კონსტანტინე შანავა 1.5:0.5. მეოთხედფინალში ითამაშებენ: სანიკიძე-მჭედლიშვილი, პაიჭაძე — გაგუნაშვილი, ძაგნიძე — ჯოჯუა, ფანცულაია — ჯავახიშვილი.

გივი გაგუა

◎ ნარდი

თბილისმა საქართველოსთვის 32 შეარჩია

გასულ უქმეებზე საქართველოს ნარდის ასოციაციისა (პრეზიდენტი თემურ ქურციკიძე) და კომპანია „ლიდერბეთის“ ინიციატივითა და ორგანიზებით დედაქალაქის მესამე საგამოფენო პავილიონში თბილისის ღია პირველობა გაიმართა. შეჯიბრებაში, რომელიც ნოკაუტ-სისტემით ჩატარდა, 286-მა ქალმა და მამაკაცმა იასპარეზა. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საქართველოს ორგზის ჩემპიონი ტარას სარქისიანი და კარლო ხმალაძე. დაძაბულ პაექრობაში 7:5 გაიმარჯვა სარქისიანმა და მთავარი პრიზი - 1.000 ლარი დაიმსახურა, ხოლო ხმალაძეს 500 ლარი ერგო. 300 ლარით მესამე ადგილზე გასული ზურაბ ბიჭიკაშვილი დაჯილდოვდა. ხოლო IV-VIII ადგილებზე გასულთ 100-100 ლარი გადაეცათ.

— თბილისის პირველობაში ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი, - თქვა დაჯილდოების შემდეგ ჩემპიონმა. — მოყვარულებთან ერთად პროფესიონალებმაც ვითამაშეთ. მე, მაგალითად, საქართველოს ორგზის ჩემპიონი ვარ, შარშან ჩაქვში ბუკიას საერთაშორისო მემორიალის ფინალში გავედი, გადამწყვეტ შეხვედრაში დღევანდელი ჩემი მეტოქე კი საქართველოს პრიზიორია... დიდი მადლობა ორგანიზატორებს, რომ თბილისელებს ასეთი ზეიმი გვაჩუქეს.

— შარშან ჩვენმა ასოციაციამ კომპანია „ლიდერბეთთან“ ხელშეკრულება გააფორმა, რომლის შესაბამისადაც ქვეყნის 30 ქალაქსა და რაიონში ერთობლივად ჩავატარეთ ადგილობრივი პირველობები ქართულ ნარდში და საქართველოს ჩემპიონატისთვის საუკეთესოები შევარჩიეთ, — გვითხრა თემურ ქურციკიძემ. - თითოეული ქალაქიდან და რაიონიდან 8-10, აჭარიდან 16, ხოლო თბილისიდან 32 მონარდე ჩაებმება საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც 23-24 იანვარსაა დაგეგმილი. რომ არა კომპანიის აქტიური მხარდაჭერა და დახმარება, ასეთი გრანდიოზული ღონისძიების გამართვას ვერ შევძლებდით.

საგულისხმოა, რომ „ლიდერბეთი“ დიდი ხანია ქართულ სპორტს გვერდში უდგას: გაზეთ „ლელოსთან“ ერთად ორი წელიწადია, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელსა და ფეხბურთელს აჯილდოებს, აგრეთვე ყოველთვიურად ქართული სპორტის ლეგენდებს საზეიმო შეხვედრებს უწყობს.

— შეძლებისდაგვარად ფეხბურთის, კალათბურთისა და რაგბის სკოლებსაც ვეხმარებით, — ამბობს „ლიდერბეთის“ მენეჯერი ბაჩო სარალიძე. — ამჯერად ნარდის პოპულარიზაცია და შემდგომი განვითარება გვაქვს გამიზნული საქართველოს ნარდის ასოციაციასთან ერთად. მომავალ შაბათ-კვირას საქართველოს ჩემპიონატსაც მაღალ დონეზე ვუმასპინძლებთ და საუკეთესოებს სოლიდური პრიზებით დავაჯილდოებთ.

ლექსო ცინცაძე

სურათებზე: ასპარეზობის მომენტი; გამარჯვებული და პრიზიორები ორგანიზატორებთან ერთად; ბაჩო სარალიძე და თემურ ქურციკიძე თბილისის ჩემპიონს აჯილდოებენ.
ვაჟა დანელიას ფოტო.

ეპიტაფია

ღვაწლმოსილი ერისკაცი

გრამიტონ კვარაცხელიას ხსოვნას

89 წლის ასაკში გარდაიცვალა **გრამიტონ კვარაცხელია** — ზნეკეთილი, შეუპოვარი, უდრეკი ნებისყოფის, იდეალების, ეროვნული ტრადიციების ერთგული, ბუნებით ლიდერი მოღვაწე.

იგი უაღრესად რთულ და წინააღმდეგობრივ ეპოქაში დაიბადა, აღიზარდა, ღირსეულ მამულიშვილად და გამორჩეულ ეროვნულ მოღვაწედ ჩამოყალიბდა. თვალსაჩინო წარმომადგენელია იმ თაობისა, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს აღმშენებლობაში, მისი ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების განვითარებაში.

ბატონი გრამიტონი სრულიად ახალგაზრდა ეზიარა საზოგადოებრივი საქმიანობის დროით შემოთავაზებულ პრინციპებს, საკუთარი ხელწერით, რომელიც ქვეყნისადმი უანგარო სიყვარულს ეფუძნებოდა, მუხლჩაუხრელად ემსახურა ქვეყანას, მშობლიურ ხალხს. მან დროის გამოწვევა მიიღო, იგი დროში არ ჩარჩენილა, უფრო მეტიც, დროსთან ბრძოლაში წარმატებული გამოვიდა, თუმცა, აგრესიული სუბიექტივიზმის უნდობლობაც იწვნია და ახალგაზრდა კაცს პოლიტიკური მოღვაწეობაც სასტარტო ეტაპზე შეაწყვეტინეს.

სწორედ აქ გამოჩნდა მისი პიროვნული თვისებები. მან უარი თქვა მავანთა შემოთავაზებაზე, გამიჯნოდა საკუთარ წარსულს. იგი პრინციპებისა და იდეების ერთგული დარჩა. მისი ცხოვრების და მოღვაწეობის ყველა საფეხური — სტუდენტობა, ახალგაზრდულ ორგანიზაციებში აქტიური საქმიანობა, განათლების სფეროში მოღვაწეობა, პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ორგანოებში ნოვატორული საქმიანობა, მისი ცხოვრების ბოლო წლებში საზოგადოებაში მიმდინარე კატაკლიზმების ფონზეც, ბატონი გრამიტონის აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობის სულისკვეთება — სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მამულიშვილი, რომ მამულიშვილობა პრივილეგია კი არ არის (დღეს მავანს რომ წარმოუდგენია), არამედ უდიდესი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე, მძიმე ტვირთია, რომელიც ამაყად უნდა ზიდო.

ბატონმა გრამიტონმა თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით დაადასტურა, რომ იგი, როგორც მამულიშვილი, ქვეყნის ცხოვრების ყველა დროს თანაბრად ეკუთვნის. ასეთ ადამიანებს კი საქართველოში არ ივიწყებენ.

ბატონი გრამიტონი ბუნებით ლიდერი იყო. ეს ჩანდა საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, ყველაზე მკაფიოდ კი გამოვლინდა ქ. ზუგდიდში, პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელად მუშაობისას. იმ პერიოდში შენდებოდა ენგურის ჰიდროელექტროსადგური, განსაკუთრებული მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოები, მასშტაბური იყო მომსახურების სფეროს გარდაქმნები, ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიზმი. ენგურქაღალდკომბინატი მეურნეობრიობის სანიმუშო მოდელად იყო აღიარებული. ქალაქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას უნარიანად წარმართავდა ნიჭიერი ხელმძღვანელი.

ბატონი გრამიტონის ლიდერული თვისებები სრულად გამოვლინდა მისივე ინიციატივით ქვეყანაში ცნობილი გვარის — კვარაცხელიების ისტორიისადმი მიძღვნილი უნიკალური წიგნის შექმნის პროცესში. ეს წიგნი, რომელიც საზოგადოებამ აღიარა საგვარეულოს ძვირფას საგანძურად, თავისი ფორმით, შინაარსით, ეროვნული მნიშვნელობით იმის დადასტურებაცაა, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესი შეუქცევადია, რომ მამულიშვილს ყველგან და ყოველთვის შეუძლია ექსკლუზიური როლი შეასრულოს, თუ იგი მართალი კაცის ცხოვრების უმკაცრეს წესებს დაიცავს და განამტკიცებს. ბატონმა გრამიტონმა ამის კარგი მაგალითი მოგვცა.

ბატონმა გრამიტონმა ქალბატონ ვალიდა მახარაძესთან ერთად შექმნა ოჯახი, რომელმაც მოკრძალებული ცხოვრების წესით, ღირსეული შვილების და შვილიშვილების აღზრდით, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით საზოგადოების პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს მრავალგზის დეპუტატი, სახელმწიფო ორდენების კავალერი, თბილისის ვეტერანთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საგვარეულო მოძრაობის აქტიური მონაწილე, საგვარეულო კავშირის ხელმძღვანელი საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობდა.

ვაჟკაცი კაცის ხიბლით, მოღვაწის კეთილშობილებით, დროის შესაფერისი განათლების დონით, ადამიანებთან ურთიერთობების საკუთარი ხელწერით, საზოგადოებრივი ინტერესების ყველგან და ყოველთვის წინ წამოწევისა და დაცვის უნარით ბატონი გრამიტონი საზოგადოებამ აღიარა კლასიკური გაგების კაცად. თუ ცნობილი აზრების პერიფრაზს გამოვიყენებთ, გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ გრამიტონ კვარაცხელია ოჯახის, გვარის, თემის, ერისა და, ზოგადად, კაცის თვისებებს ერთ მთლიანობაში წარმოადგენს. ასეთი რამ იშვიათად ხდება და იგი მხოლოდ ერთეულთა ხვედრია.

ბატონი გრამიტონის მეგობრები მწუხარების ჟამსაც სიამაყით ვამბობთ, რომ იგი ვალმოხდილი წავიდა, დატოვა მაგალითი — ორიენტირი, თუ როგორ უნდა ემსახურო საქვეყნო საქმეს, როგორ უნდა გიყვარდეს და დაიცვა მშობლიური მიწა-წყალი, საუკუნეების ქარტეხილებში გამოტარებული ეროვნული ტრადიციები.

მიტროპოლიტი დავით (ამბა) ალავერდელი, ჯუმბერ პატიაშვილი, ვიქტორია სირაძე, ნოდარ ჭითანავა, ოთარ ფაცაცია, ფრიდონ თოდუა, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, გუჩა კვარაცხელია, როინ მეტრეველი, რამაზ ხუროძე, ბონდო ჯიქია, ანზორ გურჯანაძე, რაულ ჯახია, ბაკურ გულუა, ოთარ ჭითანავა, გურამ გუნავა, ნუგზარ ნადარაია, ვილენ ალავიძე, ვახტანგ ყოლბაია, ოთარ მელქაძე, გივი აბდუშელიშვილი, კლიმენტი ჯანჯღავა, გიორგი ნაჭყებია, იაშა მესხია, გენო კალანდია.

შვილები თემურ, ავთანდილ კვარაცხელიები, შვილიშვილები ლაშა, გიორგი, ლევანი, თამუნა, შვილთაშვილები მარიამი, ანუკი, სიდონია, ლევანი, მარიამი, რძლები ლიკა ტყეებუჩავა, ლეილა სიჭინავა, ნატა ჯავრიშვილი, ნინა კორკელია და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრამიტონ რაჟდენის ძე კვარაცხელია

პანაშვიდი 19, 20 I, 17 სთ. დაკრძალვა 21 I, 14 სთ. სოფელი დიღომი, სარაჯიშვილის მეორე ჩიხი. სახლი №8.

გიორგი ნაჭყებია მწუხარებით იუწყება უახლოესი ნათესავის, თავისი დროის თაობის ერთ-ერთი ლიდერის, ცნობილი საზოგადო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის

გრამიტონ რაჟდენის ძე კვარაცხელიას

გარდაცვალებას და ოჯახით სამძიმარს უცხადებს შვილებს, შვილიშვილებს, ნათესავებსა და უახლოეს მეგობრებს.

ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ საუკეთესო მეგობარი, შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე, დახვეწილი ინტელიგენტი და ჭეშმარიტი პატრიოტი

გრამიტონ კვარაცხელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს.

ბორის კვარაცხელია, ჟანეტა გაგნიძე ამერიკის შეერთებული შტატებიდან (ქ. კანზასი) სამძიმარს გამოთქვამენ ჩინებული ადამიანის, ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის

გრამიტონ კვარაცხელიას

გარდაცვალების გამო.

რეზო ამაშუკელი მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს თამაზ სომხიშვილს მისი უფროსი ძმის

ჯემალ

სომხიშვილის

გარდაცვალების გამო.

რეზო ამაშუკელი მწუხარებას გამოთქვამს ბავშვობის მეგობრის

გურამ

მაჭავარიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ხსოვნა

გიორგი გოცირიძე

ქართულმა ეთნოლოგიურმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი გოცირიძე**.

ბატონი გიორგი ქართული ეთნოლოგიური სკოლის ღირსეული და თვალსაჩინო წარმომადგენელი, ამავე სკოლის ფუძემდებლის, გიორგი ჩიტაიას მოსწავლე და აღზრდილი გახლდათ. ნიჭიერი მკვლევარი, შესანიშნავი ადამიანი და კოლეგა, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული და გულშემატკივარი; 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის, 4 მონოგრაფიის) ავტორი. ბატონი გიორგის კვლევის სფერო ქართული ყოფისა და კულტურის, სოციალური ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებებს მოიცავდა. მას ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომები ქართული სუფრისა და კვების კულტურის შესახებ. იყო შესანიშნავი სპეციალისტი და ექსპერტი ეთნიკურ ჯგუფთაშორისი ურთიერთობებისა. ამ კუთხით მისი კვლევის საგანს წლების მანძილზე თბილისში და ქვეყნის ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელების ყოფა და კულტურა, რელიგია და მოქალაქეობრივი ადაპტაციის პრობლემები და საკითხები წარმოადგენდა.

გიორგი გოცირიძე 1975 წლიდან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ) დღემდე მუშაობდა ქართული საისტორიო და ეთნოლოგიური მეცნიერების ძირითად კერაში — ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში; კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტში. იყო თავდაუზოგავი დამცველი ქართული ყოფისა და კულტურის საკითხებისა როგორც შიდა, ისე კავკასიურ თუ საერთაშორისო სამეცნიერო-საზოგადოებრივ ასპარეზზე.

თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

---

16 იანვარს გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები

1. რიჩი. 2. ასია. 3. კიარა. 4. იანო. 5. პოლიმნია. 6. ლი. 7. სტეპი. 8. არმანიაკი. 9. ტაპიოკა. 10. კაპელანი. 11. ვოინიჩი. 12. მილი. 13. ნიკე. 14. კირილიცა. 15. მერიმე, 16. ლენდლი. 17. მაასი. 18. კლიო. 19. მიმინო. 20. მოდენა. 21. გირაო. 22. დრუნჩი. 23. რიმე. 24. რეტრო. 25. კოლიზეი. 26. ვალი. 27. თამარინდი. 28. ლადა. 29. შტამპი. 30. ელი. 31. რომი. 32. კილიკია. 33. რემისია. 34. შტამბი. 35. მაკრატელა. 36. ლოთი. 37. ბოტიჩელი. 38. ბარელი. 39. პასატი. 40. აბაზი. 41. ტიარა. 42: სტარტი. 43. ქათამი. 44. ორეირო. 45. არაგვი. 46. ლეგისლატურა. 47. იბერია. 48. პაი. 49. ტურა. 50. რენი. 51. ბილინგვა. 52. სტაჟი. 53. საკრისტია. 54. ალებარდა. 55. სკოლოპენდრა. 56. დუჟინი. 57. ერერა. 58. მატინე. 59. ჩაპლინი. 60. დიაბაზი. 61. ბორა. 62. ზებუ. 63. ტრიო.

სურსათი მთელი ქვეყნის მასშტაბით მოწმდება

დოკუმენტური შემოწმებისას გამოვლინდა ჰიგიენური ნორმების დარღვევა, რაც არაგეგმური ინსპექტირების საფუძველი გახდა. ინსპექტირებისას დაფიქსირდა კრიტიკული შეუსაბამობები, რის გამოც ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა და საწარმოო პროცესი შეუჩერდა.

სურსათის ეროვნული სააგენტო საზოგადოებრივი კვების ობიექტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოწმებს. შედეგები საზოგადოებას პერიოდულად ეცნობება.

სურსათის ეროვნული სააგენტო მნიშვნელოვნად მიიჩნევს მოსახლეობის ჩართულობას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მოუწოდებს, დაუკავშირდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთიანი საინფორმაციო სამსახურის ცხელ ხაზს — 2 470-101.

რობერტ სტურუა: როგორ გაგვითახსირეს ამ ასპიტის წიწილებმა სული და ზნეობა...

რეჟისორი რობერტ სტურუა ფეისბუქზე სტატუსს აქვეყნებს:

„აირევი ივერია“ (გ.ტ.)

უცნაური თვისება შემოუჩდა იბერიელს – ქარის მიმართულების გამო, საოცარი ყნოსვის შედეგად და ჯიბის პრობლემების გამო სულ იოლად იცვლის ეროვნებას:

ხან უკრაინელია,

ხან ამერიკელი,

ხან ევროპელიც (ფრანგი, გერმანელი, თურქი და ა.შ.)

სამხრეთ მეზობლების წარმომავლობას იჩემებს ზოგჯერ, ან ოსტატურად დიდი ჩრდილოეთის მეზობლის გვარსაც მოირგებს ხოლმე.

ამასთან ერთად, რაც სხვა ერებს მაინცდამაინც არ ახასიათებთ, საქვეყნოდ საკუთარ ხალხს სიმდაბლეს და ათასგვარ უმსგავსობას აბრალებს, დასცინის და აბუჩად იგდებს. ვიღაც უკვე უკრაინელი ჭკუას გვასწავლის, რუსების მაგიდას თუ მიუჯექი – მოღალატე ხარო, თითქოს ბილაინი და ვითიბი მე და თქვენ შემოვუშვით და წილებში ვუზივართ.

ო, როგორ გაგვითახსირეს ამ ასპიტის წიწილებმა სული და ზნეობა. გარეთ მყოფნი და აქ ჩარჩენილნი კი, ვითომ პატრიოტები, ერთზე ოცნებობენ:

მალე, სულ მალე „აირევი ივერია“ და ჩვენი ზეიმი და შურისძიება მერე იხილეთო.

P. S.

დღეს ნათლისღებაა, მაგრამ მგონი ერთმა იბერიელმა ფილოსოფოსმა თქვა:

„სანამ ჩვენ მიერ შემოშვებულ აგრესორს არ გავდევნით, არც შობა, არც ნათლისღება, არც აღდგომა არ ვიზეიმოთო.“ – ამინ!“ – წერს რობერტ სტურუა.

◎ ერიდეთ ირანულ მარილს!

საქართველოში ტყვიის, ვერცხლისწყლისა და დარიშხანის შემცველი მარილი იყიდება?

საქართველოში დიდი რაოდენობით ტყვიის შემცველი მარილი აღმოაჩინეს. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ლაბორატორიული კვლევებით დაადგინა, რომ ასეთი სახის 48 ტონა ირანული წარმოების მარილია შემოსული ქართულ ბაზარზე.

მომხმარებელთა უფლებების დამცველთა და მარილის იმპორტიორთა ნაწილი აცხადებს, რომ საქართველოს ბაზრებსა და სუპერმარკეტებში ტყვიის, ვერცხლისწყლისა და დარიშხანის შემცველი მარილი იყიდება. სპეციალისტების თქმით აუცილებელია, გაგრძელდეს მონიტორინგი.

კომპანია „სოლტ ლაინ ჯორჯიამ“ კუსტარულად დაფასოებული მარილი უკრაინის ლაბორატორიაში გამოკვლევაზე გაგზავნა. როგორც კომპანიის წარმომადგენელი **რატი კვანტრიშვილი** ამბობს, ჯანმრთელობისთვის საშიშია ირანული მარილი, რომელიც გაცილებით იაფი ღირს. – **„შეიძლება ნებისმიერ ადამიანს გაუჭირდეს ვიზუალის გარჩევა. როგორც აღმოჩნდა ირანული მარილი ჯანმრთელობისთვის საშიშია და, სამწუხაროდ, სხვა კომპანიებსაც უფუჭებს რეპუტაციას“.**

„სოლტ ლაინ ჯორჯიას“ დირექტორი **ირაკლი ქობლიანიძე** ამბობს, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ამოღებული მარილი ხარკოვის ლაბორატორიაში გადააგზავნეს. – **„ამ ლაბორატორიის დასკვნებს ევროკავშირიც ენდობა. კვლევამ დაადასტურა, რომ ირანული მარილი ტყვიას, დარიშხანს და ვერცხლისწყალს შეიცავს“.**

სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი კახა სოხაძე ამბობს, რომ ეს მარილი უკან გამოითხოვება და სააგენტოს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით განადგურდება. მისივე თქმით, ამ მარილის საქართველოში შემომტანია „ეკო ჯორჯია“. თავად „ეკო ჯორჯია“ ამ საკითხზე მედიასთან კომენტარს არ აკეთებს და აცხადებს, რომ მარილის შემოტანით აღარ არიან დაკავებულნი.

მომხმარებელთა ფედერაციის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია პროდუქციის საბაჟოზე შემოწმება. მადონა კოიძეს ეჭვი აქვს, რომ ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქცია დღესაც იყიდება. – **„ტყვია ილექება ადამიანის ორგანიზმში, მარტივად არ გამოიდევნება და მისი სამიზნეა ნერვული სისტემა. ეს მარილი შემოტანილია ნოემბერში და სავარაუდოდ მისი უმეტესი ნაწილი უკვე რეალიზებულია, კვლევა უნდა განხორციელდეს უშუალოდ, საბაჟოზე და როცა დავრწმუნდებით, რომ პროდუქტი უვნებელია, მხოლოდ მერე უნდა დავრთოთ საქართველოში შემოსვლის უფლება“** – აცხადებს კოიძე.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ეძიმო, კუჭი მტკივა.

– სვამთ?

– კი, ვსვამ, მაგრამ არ მშველის.

* * *

– მუდმივი კლიენტები გყავთ? – ეკითხებიან რესტორნის ოფიციანტს.

– ვინ არიან ისინი?

– ვინ არიან და, ვინც რეგულარულად დადის თქვენთან რესტორანში.

– კი გვყავს. ეს არის სასწრაფო დახმარების ხალხი მოწამვლისას გადაუდებელი დახმარების განყოფილებიდან.

* * *

ცხოვრობდნენ კოლია და ვასია. კოლია გამუდმებით სვამდა, ვასია კი სასმელს საერთოდ არ ეკარებოდა. ბოლოს ისინიც, ცხადია, მოკვდნენ. სხვათა შორის, უფრო ადრე მოკვდა ვასია, რომელიც მთვრალმა კოლიამ მანქანით გაიტანა.

* * *

ჩემთვის არავითარი სხვაობა არ არის რუსს, უკრაინელს, თათარს, გერმანელს, სომეხს... შორის. უკვე ყელში ამომივიდა... მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ორი ეროვნების ხალხი – ადამიანები და არაადამიანები.

გაზეთის ემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 21 იანვარს

დღის ფრაზა

– ოდესა, დერიბასოვსკაია.

საბაკაშვილს, ადეიშვილს.

კანცელარიის თავზე ფრიალებს წითელი ქეთათო! გაუმარჯოს ნაციონალურ მოძრაობას!!!

ყურადღება!

2016 წლის 22 იანვარს (პარასკევს) 15 საათზე გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

გელა ყიფშიანი

თემაზე: **„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული პრობლემების ანალიზი და მათი აღმოფხვრის გზები“.**

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში (ალ. ყაზბეგის 47, VI სართული).

დასწრება თავისუფალია.

თეიმურაზ ბაბუნაშვილი

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

მაჩაბლის ქ. №7

ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ძოწულია

293-37-87

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი

599 53-76-16;

ალეკო ასლანიშვილი

599 56-81-86;

რუსლან რუსია

599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე

514 33-33-24

გამომცემლები:

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)

ს–323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!